ევროკავშირი
საქართველოსთვის

Brot
für die Welt

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი
Young Pedagogues' Union

გზამკვლევი
ზოგადი განათლების საფეხურისთვის

# საპროექტო იდეები

## სამეწარმეო კომპეტენციის განვითარების და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობისთვის

2023

სახელმძღვანელოს იდეის ავტორი და კონსულტანტი: **მარინა თოფურია**

ავტორთა ჯგუფი: **თათია მგელაძე**
**ხატია ჭანიშვილი**

რედაქტორი: **ნათია მენაბდე**

პუბლიკაცია მომზადებულია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ პროექტების „უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის“ და „უკეთესი მომავლისთვის“ ფარგლებში. პროექტის „უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის“ მიზანია ადგილობრივი ადამიანური კაპიტალის განვითარება და შენარჩუნება გურიის, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის. ის ხორციელდება საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის (CSRDG) ლიდერობით, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან“ და საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციასთან ერთად. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში.

პროექტი „უკეთესი მომავლისთვის“ ხორციელდება „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ გერმანული ფონდის Brot für die Welt ფინანსური მხარდაჭერით.

**პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა და გერმანული ფონდის Brot für die Welt მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ და შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.**

გზამკვლევი
ზოგადი განათლების საფეხურისთვის

# საპროექტო იდეები

## სამეწარმეო კომპეტენციის განვითარების და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობისთვის

2023

# წინათქმა

წინამდებარე გზამკვლევში აღწერილია ეროვნული სასწავლო გეგმით (2018-2024 წწ.) გათვალისწინებული გამჭოლი კომპეტენციის – მეწარმეობის – სასკოლო ცხოვრებაში ეფექტურად დანერგვის მაგალითები. ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში (მუხლი 7. ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნები, გამჭოლი უნარები და ღირებულებები) „მეწარმეობა" განმარტებულია, როგორც ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა. „მეწარმეობის" კურსის ერთ-ერთ დისციპლინად სკოლებში დანერგვა ხელი შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის ინტერესებისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენას, სწავლის გაუმჯობესების მიზნით ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიებასა და მათ განხორციელებას, განაპირობებს მოზარდთა მზაობას გამოწვევების მისაღებად და გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად. ის მოიცავს როგორც შემოქმედებითი მიდგომის, ინოვაციისა და რისკის, ასევე დაგეგმვისა და პროექტების მართვის უნარ-ჩვევებს, რომლებიც საჭიროა დასახული მიზნის მისაღწევად; აძლიერებს სკოლის სოციალურ სტატუსს და ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასკოლო თემის ცხოვრებაში.

გზამკვლევში წარმოდგენილი პროექტები გამოირჩევა იმით, რომ დასახული მიზნები მიიღწევა საგანთა ინტეგრირებითა და სასკოლო საზოგადოების მჭიდრო ჩართულობით. მრავალფეროვანი მეთოდოლოგიით, პედაგოგების ფასილიტაციით მოსწავლეები სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში იღებდნენ ფაქტობრივ ცოდნას, რომელსაც იყენებდნენ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა საქმიანობის წარმართვისას. ამგვარი მიდგომა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად საგანმანათლებლო პრინციპს (კონსტრუქტივიზმის კონცეფციას) და ხელს უწყობს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას, სწავლა-სწავლების პროცესს კი ხდის ფუნქციურს, საინტერესოს, დინამიკურს და ხელს უწყობს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების დაკავშირებას ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

სახელმძღვანელოში შემავალი 20 პროექტი უნიკალურია, რადგან ისინი მოიაზრებს მოზარდთა მცდელობას, ეფექტიანი გზებით მოაგვარონ განმახორციელებელი სკოლის თემსა და გარემოში არსებული პრობლემები. მოსწავლეები თავად ხდებიან პოზიტიური ცვლილებების ინიციატორები და რეალიზატორები. პროექტის მიმდინარეობისას ისინი აწყდებოდნენ სხვადასხვა სირთულეს, რომელთა დაძლევაც განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა პროექტების განმახორციელებელი გუნდებისთვის და მოტივაცია მისცა მათ. პროექტების აღწერა ეფუძნება სკოლების მიერ წარმოდგენილ საპროექტო განაცხადებსა და შემაჯამებელ ანგარიშებს.

გზამკვლევში აღწერილი პროექტები განხორციელდა გურიის, ქვემო ქართლისა და კახეთის საჯარო სკოლებში დაფუძნებული სასკოლო კლუბების, „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის", ფასილიტატორებისა და წევრების მიერ. დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა 2020-2023 წლებში „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირში" მიმდინარე პროექტების „უკეთესი მომავლისთვის" და „უნარების განვითარება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის" ფარგლებში არსებული მცირე საგრანტო პროგრამა. კონკურსის ფარგლებში საპროექტო ბიუჯეტად განსაზღვრული იყო 400 ევროს ეკვივალენტი ლარში, თუმცა ხშირ შემთხვევაში საპროექტო იდეის განსახორციელებლად სკოლებს უწევდათ ალტერნატიული დაფინანსების წყაროს ძიება.

საგანმანათლებლო რესურსის გამოყენება შეუძლიათ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და მასწავლებლებს. წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს ფორმალური და არაფორმალური განათლების წარმომადგენლებს, სკოლის ადმინისტრაციებს, მასწავლებლებს, დამრიგებლებს, ტრენერებს, გაამრავალფეროვნონ სწავლების პროცესი და საკუთარ პრაქტიკაში დანერგონ სამეწარმეო განათლება და პროფესიული ორიენტაცია, როგორც სასწავლო დისციპლინა.



# პროექტი „მეწარმეობის უნარების განვითარება საგანთა ინტეგრაციის გზით“

## სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარეთის საჯარო სკოლა

## პროექტის შესახებ

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელები:
**ნინო წიფიანი, მარიამ ელოშვილი**

საქართველოში საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მიმართულებები არ არის პოპულარული, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მომავლის პროფესიებთან ასოცირდება. ეროვნული სასწავლო გეგმის (2018-2024) მიხედვით, ერთ-ერთი გამჭოლი უნარ-ჩვევაა მეწარმეობა, რომელიც გულისხმობს იდეის საქმედ ქცევისთვის აუცილებელი უნარებით მოსწავლის აღჭურვას/გაძლიერებას. სწრაფად ცვალებადი სამყარო სავსეა გამოწვევებით. მაგალითად, ორი წლის წინ, პანდემიის პირობებში, კიდევ ერთხელ დადასტურდა, ერთი მხრივ, საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისა და კვლევების გაღრმავების, მეორე მხრივ, მეწარმეობის უნარ-ჩვევებით მოსახლეობის გაძლიერების აუცილებლობა.

სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარეთის საჯარო სკოლა ცდილობს, სწავლა-სწავლების პროცესი გახადოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი და მოარგოს ის მოსწავლეთა საჭიროებებს. მოსწავლეთა დასაინტერესებლად აუცილებელია მათთვის სწავლის მოტივაციის შექმნა. სწავლების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბუნებისმეტყველო და STEM-საგნების შესწავლისთვის საჭირო ლაბორატორიის არსებობა სკოლაში. სკოლაში მოქმედი „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის“ წევრი მოსწავლეები ახერხებენ ამ უნარების განვითარებას, თუმცა ეს თეორიული კურსი საკმარისი არ არის და აუცილებელია, მოსწავლეებმა პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ.

საბუნებისმეტყველო აზროვნების განსავითარებლად მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს დავანახვოთ სხვადასხვა საგნის სწავლებისას მიღებული ცოდნის კავშირი ცხოვრებასთან. ამ კავშირის ნათელსაყოფად და მოტივაციის ასამაღლებლად ყველაზე ეფექტური მეთოდია კვლევა და კეთებით სწავლება. ამგვარ აქტივობებში ჩართვით მოსწავლე შეძლებს ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარებას, პრაქტიკულად გამოცდის მიღებულ ინფორმაციას.



## პროექტის მიზანი



სამეწარმეო უნარ-ჩვევების გაძლიერება მოსწავლეებში სასკოლო საგანთა ინტეგრირებითა და პროექტული სწავლების დანერგვის გზით

# პროექტის მოკლე აღწერა




შოკოლადი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ბავშვებისთვის საყვარელი საკვები პროდუქტია. შოკოლადის ხარისხს სათანადო ყურადღება არ ექცევა. ამიტომ გადავწყვიტეთ, შოკოლადი საკვლევ ობიექტად გამოგვეყენებინა. თანაც, საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებით გათვალისწინებულ საკითხებზე მუშაობა მოზარდებისთვის საყვარელი პროდუქტის კონტექსტში ზრდის მათ ჩართულობასა და მოტივაციას, რაც ხელს უწყობთ, დაინახონ სხვადასხვა საგნის საჭიროება და როლი წარმოების პროცესში. შესაბამისად, მოსწავლეებმა დაიწყეს კვლევა, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა მარკის შოკოლადის შემადგენლობის გარკვევა და და ჯანმრთელობაზე ამ ინგრედიენტების გავლენის შესწავლა.

კვლევის ამოცანებად მოსწავლეებმა დაისახეს:

1. შოკოლადის სხვადასხვა სახეობის გაცნობა;
2. სხვადასხვა სახეობის შოკოლადის ქიმიური შემადგენლობის შესწავლა (ქიმია);
3. საკვლევი ნიმუშების ხარისხობრივი ანალიზი (ქიმია);
4. სხვადასხვა ნიმუშის ქიმიური შედგენილობის შედარება (ქიმია);
5. ადამიანის ჯანმრთელობაზე შოკოლადის გავლენის შესწავლა (ბიოლოგია);
6. მოსწავლეთა შორის გამოკითხვის ჩატარება;
7. შოკოლადის დნობისა და გამყარების ტემპერატურის შესწავლა (ფიზიკა).

შოკოლადის სახეობის შერჩევის შემდეგ ტექნოპარკთან თანამშრომლობით და 3D პრინტერის მეშვეობით დავიწყეთ შოკოლადის წარმოება და შევქმენით ყალიბები. ვაწარმოეთ შოკოლადი სხვადასხვა გამოსახულებით – ქიმიური ელემენტებით, ქართული ასო-ბგერებით, მათემატიკური ფორმულებით და სხვ. მოსწავლეებმა ხელოვნების მასწავლებელთან ერთად შექმნეს შეფუთვის დიზაინიც. საბოლოოდ მოვაწყვეთ ჩვენ მიერ დამზადებული შოკოლადის გამოფენა-გაყიდვა.

პროექტის განხორციელება დაიწყო 2023 წლის გაზაფხულზე და საწყის ეტაპზე მისი ღირებულება 1100 ლარს შეადგენდა.

## შედეგები



გარდა იმისა, რომ მოსწავლეებმა საკმაოდ მრავალფეროვანი ინფორმაცია მიიღეს და გამოიმუშავეს კვლევის უნარ-ჩვევები, პროექტის შედეგად შეიქმნა ისეთი საგანმანათლებლო რესურსი, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ დაწყებითი საფეხურის (ანბანის სწავლების დროს), მათემატიკის, ქიმიის, ფიზიკისა და სხვა საგნების პედაგოგებს. ეს კი უფრო საინტერესოსა და სახალისოს გახდის სასწავლო პროცესს.



# პროექტი „დაფნა – ეკონომიკის წყარო“

სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ
კვირიკეთის საჯარო სკოლა

## პროექტის შესახებ

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი: **ნათია მიქელაძე**

გურიაში, ეზოებში, ხშირად მოჰკრავთ თვალს დაფნის ბუჩქებს. დაფნის კულტურას საქართველოში, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი მოსახლეობისთვის გარკვეული შემოსავლის წყარო იყო. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესების გამო შეწყდა მისი წარმოება-ექსპორტი. მოსახლეობა იძულებული გახდა, აეჩეხა საკარმიდამო ნაკვეთში დაფნა და სხვა კულტურები გაეშენებინა. დღეს კი იშვიათად თუ ნახავთ ამ მცენარის კორომს, ის გვხვდება მხოლოდ ერთეული ეგზემპლარების სახით. მოსახლეობა, რომელმაც უპირატესობა მიანიჭა სხვა კულტურებს, არ ფლობს ინფორმაციას და არ აქვს გაცნობიერებული დაფნის მრავალმხრივ სასიკეთო თვისებები, სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, მისი შიდა და საექსპორტო პოტენციალი. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს თემში პოპულარიზება გაგვეწია დაფნისთვის და დაგვენახვებინა მოსახლეობისთვის, რაოდენ სასარგებლო და საჭირო შეიძლება იყოს ეს კულტურა.





## პროექტის მიზანი

მოსწავლეების მიერ დაფნის კულტურის პოპულარიზაცია შემოქმედის თემში (შემოქმედი, კვირიკეთი, წითელმთა) და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ეკონომიკურად გაძლიერების საშუალებების შესახებ

## პროექტის მოკლე აღწერა

პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი. მასში ჩაერთნენ ის მასწავლებლები, რომელთა თანამშრომლობითაც შეიქმნა და დამუშავდა საპროექტო იდეა. პროექტში მონაწილეობის მისაღებად მოსწავლეებმა შეავსეს მარტივი სარეგისტრაციო ფორმა და საკუთარი სურვილით დარეგისტრირდნენ აღნიშნულ ჯგუფში. შეიქმნა სამოქალაქო განათლების, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ხელოვნების, მათემატიკის, ისტორიის, ქართული და ინგლისური ენების, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჯგუფები.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა მეტ-ნაკლებად ინფორმირებული იყო დაფნის სასიკეთო თვისებების შესახებ, თუმცა ის კომერციული კუთხით არ აინტერესებდა. თემის მცხოვრებლებს ეზოში თუნდაც ერთი ძირი დაფნა აუცილებლად უდგათ, მაგრამ მას მხოლოდ კულინარიასა და კოსმეტოლოგიაში იყენებენ. ამიტომ მოსწავლეებმა ჩაატარეს კვლევა დაფნის თვისებებისა და გამოყენების სფეროების შესახებ. კვლევა ერთგვარი საინფორმაციო კამპანიაც გამოვიდა, რომლის განხორციელების შედეგადაც მოსახლეობამ ინტერესი გამოთქვა დაფნის, როგორც კომერციული პროდუქტის, მიმართ.

პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა 120 ბუკლეტი (100 – ქართულ ენაზე, 20 – ინგლისურ ენაზე), 100 საინფორმაციო ფურცელი და 25 სტიკერი; მომზადდა ასევე 10 ცალი შესაფუთი ყუთი. ბუკლეტებში და ფლაერებზე განთავსდა პროექტის ფარგლებში მოპოვებული ძირითადი ინფორმაცია დაფნის შესახებ. ბუკლეტები და საინფორმაციო ფურცლები დაურიგდა სოფლების: კვირიკეთის, წითელმთისა და შემოქმედის მოსახლეობას. თემში გამართული შეხვედრების ფარგლებში მოსახლეობას ასევე მიეწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა დანახარჯის გაწევა და რა შემოსავლის მიღება არის მოსალოდნელი 1 ჰექტარზე დაფნის გაშენების შედეგად; რა უპირატესობა აქვს დაფნის კულტურას სხვა, გურიაში ამჟამად ფართოდ გავრცელებულ კულტურებთან შედარებით.

პროექტის განხორციელება დაიწყო 2022 წლის გაზაფხულზე და მისი ღირებულება 1400 ლარს შეადგენდა.

## შედეგები

მოსწავლეებმა შეძლეს პრობლემის ამოცნობა, აღწერა და გაანალიზება; პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, მათგან ყველაზე ეფექტურის შერჩევა; კრიტიკულად განიხილეს და გააანალიზეს ფაქტები, დასვეს შეკითხვები და შეძლეს მათზე პასუხების გაცემა; არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დაასაბუთეს საკუთარი მოსაზრებები და გააკეთეს გონივრული არჩევანი.

მოზარდები შეეცადნენ, გარდაექმნათ და გაეუმჯობესებინათ თავიანთი გარემო; შექმნეს ჯგუფები და, სამუშაო შესაძლებლობების გათვალისწინებით, გაიუმჯობესეს ლიდერობისა და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები.

პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში, მოზარდები ერთობლივად ეძებდნენ მისი გადაჭრის გზებს და ერთად იღებდნენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას. საგნობრივი დავალებებიდან გამომდინარე, ყველა მოსწავლემ შეძლო საკუთარ ქმედებაზე პასუხისმგებლობის აღება.

მოსწავლეები ცოდნის სრულყოფის მიზნით ეძიებდნენ ახალ იდეებს, მიდგომებს; მომზადებულნი შეხვდნენ გამოწვევებს და გადადგეს გაბედული ნაბიჯები.

## პროექტი „ლიმონი – სათახე კულტურა"

სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთის საჯარო სკოლა



### პროექტის შესახებ

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელები: **ქეთევან ჩიკაშუა, ნანა შარაძე**

სკოლა სასკოლო საზოგადოების წევრებს უნდა აძლევდეს მათი ინიციატივების რეალიზებისა და თავისუფალი არჩევნის გაკეთების შესაძლებლობას. მეწარმეობის საფუძვლების გათავისება კი მოსწავლისთვის ფართო ასპარეზია ინოვაციური იდეების დაგეგმვის, განვითარებისა და განხორციელებისთვის. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად (2018-2024), მეწარმეობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნარია, რომლის მქონე თითოეული ინდივიდი ავტომატურად ხდება საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი, რაც მისი მოქალაქეობრივი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის ზრდასაც განაპირობებს. ამასთან, მოსწავლეებისთვის საინტერესოა, გაეცნონ საკუთარი სოფლის ტრადიციებს, გამოცდილებას. სოფელში, ჰავიდან გამომდინარე, ოდითგანვე კარგად ხარობდა ციტრუსები, თუმცა, ამ ბოლო დროს ეს კულტურები დავიწყებას მიეცა. ამიტომ სკოლამ ამ ისტორიის გაცოცხლება გადაწყვიტა, რითაც წვლილს შეიტანდა სოფლის ტრადიციული საქმიანობის აღდგენა-განახლებაში.



### პროექტის მიზანი

მეწარმეობის პოპულარიზაცია და მოსწავლეებში სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება ლიმონის, როგორც სათახე კულტურის, წარმოების მაგალითზე

## პროექტის მოკლე აღწერა

სკოლაში შეიქმნა ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ რამდენიმე საგნის მასწავლებლები, სკოლის ბაზაზე არსებული „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის“ ფასილიტატორები და ამ კლუბის წევრები. პროექტის განხორციელების პროცესში მათ ჩართეს შემდეგი საგნები: ქიმია, ბუნებისმეტყველება, მათემატიკა, გეოგრაფია, ისტორია, ქართული ენა, უცხო ენები და ხელოვნება.

ანასეულის კვლევითი ინსტიტუტის თანადგომითა და მხარდაჭერით სამუშაოების ჩატარებისათვის გამოიყო სივრცე ინსტიტუტის შენობაში. დამზადდა კარკასი, რომელშიც დამონტაჟდა სადრენაჟე სისტემა და განთავსდა პოლიეთილენის ჭიქები ნიადაგით. მომარაგდა რესურსები, ანასეულის სამეცნიერო ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებისგან მოსწავლეებმა მიიღეს რეკომენდაციები ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. შემდეგ მათ მასწავლებლების დახმარებით შეაზავეს და გადაანაწილეს მიწა პოლიეთილენის ჭიქებში; შეარჩიეს და საკუთარი ხელით აჭრეს ლიმონის ყლორტები, დაამუშავეს ისინი სპეციალური ხსნარით და დააკალმეს. ჭიქების ნაწილში ჩათესეს ლიმონის თესლიც. ამის შემდეგ ჭიქები განალაგეს სპეციალურად გაკეთებულ კარკასში, მორწყეს და გადახურეს პოლიეთილენის ფირით.

მოსწავლეები დღემდე განაგრძობენ ლიმონის ნარგავების მოვლა-პატრონობას და ეცნობიან იმ პროცესებს, რომლებიც მათი გადარჩენისთვის მნიშვნელოვანია. მცენარეების მოვლა-პატრონობის წესები მათ თან დაურთეს სარეალიზაციოდ გამზადებულ ლიმონის ნერგებს.

პროექტის განხორციელება დაიწყო 2022 წლის გაზაფხულზე და მისი ღირებულება 1400 ლარს შეადგენდა.

## შედეგები

მოსწავლეებს განუვითარდათ მეწარმეობის, სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევები; გარდა ამისა, შეძლეს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გადატანა.

პროექტი, გარდა მეწარმეობის უნარ-ჩვევების გამომუშავებისა, დაეხმარა მოსწავლეებს ტრადიციების მიმართ პატივისცემის გაძლიერებაში.

## პროექტი „ყვავილების სათბური“

### სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის N2 საჯარო სკოლა


სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელები:
**შორენა ყარალაშვილი, მარიამ ყვენწაშვილი**


## პროექტის შესახებ

სამეწარმეო უნარ-ჩვევების გაძლიერების პროცესში მნიშვნელოვანია სწავლება გამოცდილების მიღებითა და ადგილობრივი თემის წეს-ჩვეულებებზე დაყრდნობით. ამგვარად, მოზარდი, ერთი მხრივ, თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ უნარ-ჩვევად გარდაქმნის, ამასთან, ეცნობა, თუ რა რესურსები და საშუალებებია მის სოფელში. ის ადვილად ახერხებს ზოგადი განათლების მნიშვნელობის გააზრებას და ყოველდღიურ ცხოვრებასთან მის დაკავშირებას. ახალსოფლის N2 საჯარო სკოლა წარსულში იყენებდა ე.წ. „სასკოლო სათბურების“ სასწავლო პრაქტიკას, რის საშუალებითაც უზრუნველყოფდა მოსწავლეებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და გარემოსდაცვითი კომპეტენციის დონის ამაღლებას.

ახალსოფელი მოსახლეობის მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა – მასში დაახლოებით 7456 ადამიანი ცხოვრობს. თუმცა ახალგაზრდების განვითარებისთვის ფორმალური თუ არაფორმალური განათლების კერას, ძირითადად, სკოლა წარმოადგენს. დღეს, როდესაც მსოფლიოს ქვეყნები, მათ შორის, საქართველო, მიწის მდგრადი მართვის აუცილებლობაზე მიუთითებენ, საჭიროდ მივიჩნიეთ, სკოლა ჩართულიყო ამ პროცესში თავის ტერიტორიაზე სასათბურე მეურნეობის შექმნით.

კეთებით სწავლების მეთოდოლოგია ზრდის მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობას. თემის საჭიროებებსა და ტრადიციაზე ორიენტირება, განათლების მიღებასთან ერთად, იძლევა საშუალებას, შეიქმნას საკმაოდ კარგი საფუძველი საქართველოში მდგრადი მართვის დანერგვისთვის, რის ერთ-ერთი წინაპირობაა მართვის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის (მშობლების) ინტერესების გათვალისწინება, მათი ჩართულობა.



## პროექტის მიზანი

საყვავილე მეურნეობის შექმნა და სათბურის გაშენება, სკოლისათვის დამატებითი შემოსავლის მობილიზება, მოზარდებში სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება

## პროექტის მოკლე აღწერა

პროექტი განხორციელდა შემდეგი საგნების ინტეგრირებით: გეოგრაფია, მათემატიკა, მოქალაქეობა, ხელოვნება, ბიოლოგია, ქიმია, ქართული ენა და ლიტერატურა.

პირველ ეტაპზე მოსწავლეებმა გეოგრაფიის პედაგოგთან ერთად გამოიკვლიეს ყვარლის მუნიციპალიტეტის კლიმატი, რომლის ფორმირებაზედაც გავლენას ახდენს ტერიტორიის ადგილმდებარეობა. მათ შექმნეს ადგილის კლიმატური მახასიათებლების ცხრილი, რითაც ჩანს, რომ საპროექტო ტერიტორიაზე ჰავა სავსებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის სათბურის მცენარეების ნორმალური ზრდა-განვითარებისთვის. მათემატიკის პედაგოგის დახმარებით მოსწავლეებმა გამოთვალეს სათბურისთვის შერჩეული ნაკვეთის ფართობი, გამოიანგარიშეს სათბურში გამოსაყვანი მცენარეების რაოდენობა.

სათბურის აგებისთვის შეიქმნა მოხალისეთა ჯგუფი, რომლის წევრებიც გახდნენ მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები. პირველ ეტაპზე გაიწმინდა სასათბურე მეურნეობისთვის განკუთვნილი ტერიტორია. მათ მონაწილეობა მიიღეს ისეთ საქმიანობებში, როგორიცაა კონსტრუქციის გამაგრება, მოწყობა და გადახურვა.

მათემატიკის პედაგოგთან ერთად მოსწავლეებმა სათბურის კონსტრუქციის ასაგებად შეადგინეს სქემა და აზომეს სათბურის ფართობი. ბიოლოგიის პედაგოგის ფასილიტაციით მოსწავლეებმა კალმები და თესლი გადაიტანეს მიწაში, რომელიც გაამდიდრეს ორგანული სასუქით. ამ პროცესის პარალელურად, პედაგოგები მოსწავლეებს აცნობდნენ საჭირო ინფორმაციას სათბურში მოყვავილე მცენარეებში მიმდინარე ქიმიური პროცესების, მათი ზრდა-განვითარების, ვეგეტაციური გამრავლების შესახებ.

სოციალურ ქსელში შეიქმნა გვერდი სათბურის შესახებ, რომლითაც თემის მოსახლეობას (და არა მხოლოდ მას) მიეწოდა ინფორმაცია.

პროექტის დასკვნით ეტაპზე მოეწყო ქოთნის ყვავილებისა და მათი თესლის გამოფენა-გაყიდვა სკოლის ეზოში.

პროექტის საერთო ბიუჯეტმა, პროდუქციის რეალიზაციით მიღებული თანხის ჩათვლით, შეადგინა 4900 ლარი. თანხის დიდი ნაწილი მოხმარდა „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის“ წევრების კვებას.

## შედეგები

პირველ რიგში, სკოლაში შეიქმნა სივრცე, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია როგორც საგაკვეთილო ცდებისთვის, ისე ესთეტიკური სანახაობებისთვის, ასევე, კვლევებისთვის. ამასთან, გაიზარდა მოსწავლეთა ინტერესი სხვადასხვა საგნის (ქიმია, მათემატიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია) მიმართ. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს მიეცათ მოტივაცია, შექმნან სიახლე და გამოიყენონ ინოვაციები სასწავლო პროცესში. პედაგოგებმა შეძლეს საგანთა ინტეგრირებით შეექმნათ საინტერესო სასწავლო პროცესი, რაც მოსწავლეებს მატებდა ენთუზიაზმს, ჩართულიყვნენ შეთავაზებულ აქტივობებში.

პროექტის განხორციელებამ გააერთიანა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი. პროცესში ჩართული იყვნენ მშობლები.

მოზარდებმა საგრძნობლად გაიუმჯობესეს სამეწარმეო უნარ-ჩვევები; მიიღეს წინააღმდეგობების გადალახვისა და სხვებთან თანამშრომლობის გამოცდილება.

# პროექტი „შევუქმნა ჩვენს ოთხფეხა მეგობრებს ტანსაცმელი და აქსესუარები“

სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურის საჯარო სკოლა

## პროექტის შესახებ

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელები:
**თამარ მოსიაშვილი, ნინო ცისკარიშვილი - მესტვირიშვილი**

დღესდღეობით მოსწავლეების უმეტესობას საკმაოდ უჭირს პროფესიის არჩევა, რადგან სკოლაში კარიერული კონსულტირებისა და პროფესიული ორიენტაციის სერვისის არარსებობის პირობებში რთულია საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება. „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის“ მუშაობის პროცესში გამოიკვეთა მოსწავლეების დიდი ინტერესი ცხოველთა მოვლისა და მათი აქსესუარების დამზადების/რეალიზების მიმართ. ამასთან, ქალაქ თელავის მოსახლეობაში მომრავლდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც შინაური ცხოველის/ცხოველების ყოლის სურვილი აქვთ. აქედან გამომდინარე, გაჩნდა ცხოველების აქსესუარების (საყელური, ტანსაცმელი, გასასეირნებელი საბელი) შეძენის აუცილებლობა. სამწუხაროდ, ადგილობრივ ბაზარზე არ არის მოთხოვნის შესაბამისი პროდუქცია. ამიტომ კლუბის წევრებმა გადაწყვიტეს, თავად დაემზადებინათ საჭირო აქსესუარები.





## პროექტის მიზანი

მოსწავლეებში სამეწარმეო უნარების განვითარება და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა სასკოლო საგნების ინტეგრირებით

# პროექტის მოკლე აღწერა



საწყის ეტაპზე „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის“ წევრების მონაწილეობით ჩატარდა ბაზრის კვლევა შინაური ცხოველების მეპატრონეთა საჭიროებების გამოსავლენად.
პროდუქციის შესაქმნელად საჭირო იყო კერვის ტექნოლოგიის დაუფლება, რისთვისაც კლუბის წევრები ეწვივნენ პროფესიულ სასწავლებელს და შეხვდნენ სპეციალისტს.

ხაზვისა და მათემატიკის მასწავლებელთან ერთად ბავშვებმა განივითარეს თარგების აღების, მატერიის/ქსოვილის სწორად დაჭრის (გამოჭრის) და გაზომვის უნარ-ჩვევები. შემდგომ ეტაპზე იდეების გენერირების მიზნით მოსწავლეებმა უყურეს ინგლისურენოვან ვიდეორგოლებს (ე.წ. video tutorial), რათა შეექმნათ განსხვავებული პროდუქტი.



ბიოლოგიისა და გეოგრაფიის მასწავლებლებმა დაგეგმეს ინტეგრირებული გაკვეთილი, რომელზედაც მიაწოდეს მოსწავლეებს ინფორმაცია ცხოველების ჯიშებზე, დაავადებებზე, მათ საჭიროებებსა და მოვლის წესებზე.

მოსწავლეებმა მიღებული თეორიული ცოდნა გადაიტანეს პრაქტიკაში და შექმნეს აქსესუარები კატების, ძაღლების, ზაზუნებისა და სხვა შინაური ცხოველებისთვის. თუმცა პროდუქტის რეალიზებისთვის საჭირო იყო რეკლამა, რომელიც მოსწავლეებმა მოამზადეს ხელოვნების, ქართული ენისა და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლების დახმარებით.

პროექტის ფარგლებში მოეწყო შეხვედრები ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, რის შედეგადაც ქალაქ თელავის მერიამ ქალაქის ცენტრში მოზარდებს გამოუყო დახლი, სადაც მოსწავლეებმა შეძლეს შექმნილი პროდუქციის (ტანსაცმელი, გასასეირნებელი საბელები, საყელურები) გამოფენა-გაყიდვა.
პროექტის განხორციელება დაიწყო 2022 წლის გაზაფხულზე და მისი ღირებულება 1320 ლარს შეადგენდა.

# შედეგები



მოსწავლეებმა დაინახეს, რამდენად მნიშვნელოვანია პირველ ეტაპზე ბაზრის კვლევის ჩატარება და მხოლოდ სანდო, ემპირიული მონაცემების საფუძველზე ჩამოყალიბებული იდეების მორგება საჭიროებაზე. მათ ასევე მიიღეს მრავალფეროვანი ინფორმაცია შინაური ცხოველებისა და მათი მოვლის შესახებ, რაც, გარდა თეორიული ცოდნისა, ზრდის მათში ემპათიის განცდას და წაახალისებს გარემოს მიმართ მზრუნველ დამოკიდებულებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სასწავლო პროცესი გახდა მოსწავლეებისთვის უფრო მეტად საინტერესო. ისინი სწავლობდნენ აღმოჩენებით; დაინახეს კავშირი საგნთა შორის და აღმოაჩინეს ამ კავშირის მნიშვნელობა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

პროექტმა დააფიქრა მოსწავლეები სამომავლო პროფესიულ არჩევანზედაც და დაანახვა, რაოდენ მნიშვნელოვანია, გქონდეს ინფორმაცია არსებული პროფესიების სამუშაო სპეციფიკის შესახებ.



## პროექტი „ინოვაციური გაკვეთილები ღია ცის ქვეშ“

### სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ თამარიანის საჯარო სკოლა

## პროექტის შესახებ

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელები:
**ირინე ბოჟაძე,**
**ნონა ხარაშვილი**



სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ თამარიანის საჯარო სკოლის „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის“ წევრების ინიციატივით განხორციელდა პროექტი „ინოვაციური გაკვეთილები ღია ცის ქვეშ“. სოფელ თამარიანის საჯარო სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში იყენებს მოსწავლეზე ორიენტირებულ მეთოდებს, მაგრამ მას არა აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ერთფეროვან, ჩაკეტილ სივრცეში იზღუდება მოსწავლეთა შესაძლებლობები, რაც გავლენას ახდენს მოსწავლეთა მოტივაციაზე. „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის წევრების“ ინიციატივით, სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით დაიგეგმა სკოლის ეზოში ღია საგაკვეთილო და შემოქმედებითი სივრცის მოწყობა.

## პროექტის მიზანი

მეწარმეობის გამჭოლი უნარ-ჩვევის ინტეგრირება (რაც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით) მათემატიკის, ხელოვნების, ინგლისური ენის, ფიზიკისა და ბუნებისმეტყველების სწავლების პროცესში სკოლის ეზოში ღია საგაკვეთილო და შემოქმედებითი სივრცის მოწყობის გზით



# პროექტის მოკლე აღწერა

პროექტი განხორციელდა მათემატიკის, ხელოვნების, ინგლისური ენის, ფიზიკისა და ბუნებისმეტყველების საგნებში სამეწარმეო განათლების ინტეგრირებით.

მათემატიკისა და ფიზიკის სწავლებისას კლუბის წევრებმა პედაგოგის დახმარებით გამოთვალეს ღია ცის ქვეშ მოსაწყობი ფანჩატურის ფართობი, პერიმეტრი, სახურავისა და მიწის ზედაპირის პროპორციები, მაგიდისა და ძელსკამების ზომები.

ფიზიკის მასწავლებლის ჩართულობით ბავშვებმა მიიღეს ინფორმაცია, თუ რა მნიშვნელობა აქვს სახურავის მასალის სწორად შერჩევას (თბოიზოლაცია), რა ზომის სახურავი იქნება საჭირო ფანჩატურის გადასახურავად, როგორი დახრის კუთხით შეიძლება მისი გადახურვა.

ხელოვნების მასწავლებლის კონსულტირებით შეიქმნა სივრცის დიზაინი. უცხო ენის კომპეტენციის ასამაღლებლად მოსწავლეები ამ პროცესში გაეცნენ ინგლისურენოვან სასწავლო ვიდეორგოლებს დიზაინისა და სივრცის მოწყობის თემაზე.

პროექტის მომდევნო ეტაპზე დამუშავდა ტერიტორია და დამონტაჟდა რკინის კონსტრუქცია ადგილობრივი თემის წევრების დახმარებით.

აღსანიშნავია, რომ მასალების შესაძენად მნიშვნელოვანი ფულადი რესურსი ქ. ლაგოდეხის მერიამ გამოყო. მოზარდებმა ქ. ლაგოდეხის მერთან მოაწყვეს შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მას გააცნეს პროექტის მიზანი და დეტალური ხარჯთაღრიცხვა.

პროექტის დასკვნით ეტაპზე გაიმართა განხორციელებული საქმიანობის პრეზენტაცია და საზეიმოდ გაიხსნა ახალი მწვანე სივრცე. ღონისძიების ფარგლებში, ნარგავების შესაძენად საჭირო თანხის შეგროვების მიზნით მოეწყო სკოლის მოსწავლეების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. შეხვედრაზე სკოლის ადმინისტრაციის მიერ დაჯილდოვდა მშობელი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული სივრცის მოწყობის სამუშაოებში.

პროექტის განხორციელება დაიწყო 2022 წლის გაზაფხულზე და მისი ღირებულება 3250 ლარს შეადგენდა.



## შედეგები

მოსწავლეებისთვის, გარდა იმისა, რომ მიიღეს მნიშვნელოვანი თეორიული ინფორმაცია, პროექტის განხორციელება იყო მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელმაც წვლილი შეიტანა აქტივობების დაგეგმვის, გუნდური მუშაობის, რისკების შეფასების უნარების გაძლიერებაში.

პროექტის განხორციელებით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში შეიქმნა სასკოლო თემისა და ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოების თანამშრომლობის წარმატებული პრაქტიკა.

ამასთან, მოსწავლეთა და თემის მონაწილეობით სკოლისთვის შექმნილი სივრცე სოფლის მცხოვრებთათვის გახდა ადგილი, რომელიც იძლევა საშუალებას, ჩატარდეს სხვადასხვა ღონისძიება, რაც გაამრავალფეროვნებს სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებას.

# პროექტი „ჩვენი ბაღი ბაღნარია“

სსიპ ქალაქ დედოფლისწყაროს
N2 საჯარო სკოლა

## პროექტის შესახებ

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელები:
**ნონა ტოკლიკიშვილი, ელენე პოპიაშვილი**



სკოლა მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში, რადგან სწორედ აქ მიღებული ცოდნა განსაზღვრავს ხშირად ადამიანის სამომავლო ცხოვრებას. ამიტომ სსიპ დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის წარმომადგენლები ცდილობენ, ხელი შეუწყონ მოზარდებს, რომ მათ მიღებული ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებისეულ მაგალითებს დაუკავშირონ.

თანამედროვე განათლებისთვის გამოწვევას წარმოადგენს STEM-საგნების ინტეგრირებით სწავლების პრაქტიკის ნაკლებობა. მწირი დაფინანსებისა და საგანმანათლებლო რესურსების პირობებში ძნელია სასწავლო პროცესში ინოვაციური მეთოდების გამოყენება. რთულია ისეთი თემატიკის შერჩევაც, რომელიც სოფლად მცხოვრებ მოზარდებს დააინტერესებს.

კახეთის რეგიონი წყლის რესურსების სიმწირით გამოირჩევა, ამიტომ სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წყლის რესურსების შეგროვება და მათი ეფექტური მართვა. სკოლის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს სარწყავი სისტემის მოდელის შექმნა, ჩითილების გამოყვანა და რეალიზება მოსწავლეებში სამეწარმეო უნარების განვითარებისა და სასწავლო პროცესში STEM-საგნების ინტეგრირების გზით.



## პროექტის მიზანი

ინოვაციური სარწყავი სისტემის მოდელირებისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოების გზით მოსწავლეებში სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება და თემის კეთილდღეობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა

## პროექტის მოკლე აღწერა



საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება, სხვადასხვა სასწავლო საგნის ფარგლებში სამოქმედო გეგმის შემუშავება. შესაბამისად, მოსწავლეები, მათი ინტერესების სფეროების გათვალისწინებით, გადანაწილდნენ საგნობრივ ჯგუფებში. საკითხის კვლევის პროცესში მათ მიიღეს სხვადასხვა ინფორმაცია საგნების მიხედვით, კერძოდ:

ქიმია – მცენარეთა დამატებითი კვება და მცენარეთა დაცვა, ორგანული სასუქის (კომპოსტის) შექმნა

ბიოლოგია – თესლის კვება, მცენარის ადაპტაცია, კვალსათბურის გაკეთება ჩითილის გამოსაყვანად

ინგლისური და ქართული ენები – სოციალურ ქსელში საინფორმაციო კამპანიის წარმოება და ამ ორ ენაზე შესაბამისი ტექსტების შედგენა

მათემატიკა – როგორც ფართობის, ისე მის შემოსაღობად საჭირო ბოძების რაოდენობის გამოთვლა და მავთულხლართის სიგრძის გაზომვა

ხელოვნება – ბაღის დიზაინის, სარეკლამო სურათების მომზადება

პროექტი ითვალისწინებდა აგროექსპერტთან შეხვედრას, რომელმაც გასცა რეკომენდაციები მცენარეების მოვლასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება პრაქტიკულ სამუშაოებს, ჩითილების გამოსაყვანად პროექტის ფარგლებში შეძენილი მცენარეების თესლი მოზარდებმა კვალსათბურსა და ღია სივრცეში დათესეს. მორწყვის სისტემაში გამოიყენეს ნიადაგის ტენიანობის სენსორი, რომელიც მიწაში მოთავსებისას აფიქსირებს ტენიანობის დონეს. თუ ნიადაგი გამოშრება, სენსორი იგრძნობს ნიადაგში ტენის დონის დაწევას, გადასცემს ინფორმაციას არდუინოს, რომელიც ჩართავს ტუმბოს და მიაწვდის მცენარეს წყალს. როდესაც მცენარე მიიღებს საკმარის წყალს და მიწა დასველდება, სენსორი იგრძნობს ნიადაგში ტენიანობის საკმარის დონეს და წყლის ტუმბო მუშაობას შეწყვეტს.

პროექტის დასკვნით ეტაპზე მოეწყო პროექტის შედეგების პრეზენტაცია და მცენარეთა ჩითილების რეალიზაცია.

პროექტის განხორციელება დაიწყო 2022 წლის გაზაფხულზე და მისი ღირებულება 2600 ლარს შეადგენდა.



## შედეგები

სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მნიშვნელოვანი და საჭირო გამოცდილება, რომელიც შეუძლიათ; გამოიყენონ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამასთან, მათ განუვითარდათ სამეწარმეო უნარ-ჩვევები. ამგვარი გამოცდილება ბავშვებისთვის აღმოჩნდა დამატებითი მოტივაცია, ჩაერთონ სკოლის მიერ შეთავაზებულ სხვა არაფორმალურ აქტივობებში.

პროექტი „თავისუფალი მწვანე ზონა"

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდის საჯარო სკოლა



## პროექტის შესახებ

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელები: **დალი გაბრიჭიძე, ნინო ოქროპირიძე, ანა პაპაშვილი**

COVID 19-ის პანდემიამ ზოგადი განათლების საფეხურზე უამრავი პრობლემა წარმოქმნა. დისტანციური სწავლების რეჟიმმა, პანდემიის პირობებში დაწესებულმა შეზღუდვებმა ხელი შეუშალა არაფორმალური და ფორმალური განათლების მიწოდებას, შემცირდა სასკოლო საზოგადოების წევრებსა და სკოლის მმართველ რგოლებს შორის თანამშრომლობის ხარისხი, წარმოიშვა ცოცხალი, აქტიური ურთიერთობების დეფიციტი.

იქიდან გამომდინარე, რომ პანდემიის დროს დახურულ სივრცეში შეხვედრების მოწყობა შეიზღუდა, გაჩნდა სკოლაში ღია სივრცის მოწყობის საჭიროება. სკოლის ეზოს მთავარი შემოსასვლელის მიმდებარე შიდა სივრცე მოუწესრიგებელი და აუთვისებელი გახლდათ, გარდა ამისა, ხელსაყრელ პირობებს წარმოადგენდა ზაფხულში ქვეწარმავლების გამრავლებისთვის. სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს აღნიშნული ტერიტორიის განაშენიანება და თავისუფალი, მრავალფუნქციური მწვანე ზონის შექმნა.





## პროექტის მიზანი

არაფორმალური განათლების მიმართულების გასააქტიურებლად სკოლის ეზოს ტერიტორიაზე მრავალფუნქციური, თავისუფალი მწვანე ზონის შექმნა სამეწარმეო უნარების გაძლიერებით და საგანთა ინტეგრირების გზით

# პროექტის მოკლე აღწერა



სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით (საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ჯგუფები, ქართული ენა და ლიტერატურა, ხელოვნება, მათემატიკა) პროექტის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის მოსწავლეები გადანაწილდნენ საგნობრივ ჯგუფებში თავიანთი ინტერესების შესაბამისად და პედაგოგთა ფასილიტაციით გამართეს თემატური შეხვედრები, რომელთა ფარგლებში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე დაიგეგმა და განაშენიანდა ზემოაღნიშნული სივრცე.

მოსწავლეთა ინიციატივით, დამატებითი რესურსების მოძიების მიზნით წარიმართა თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობასა და თემთან.

პროექტის საწყის ეტაპზე ქალაქ თეთრიწყაროს მერია მოზარდებს 1200 ლარის კონტრიბუციას შეჰპირდა. სამწუხაროდ, თანხა დადგენილ ვადაში ვერ ჩაირიცხა. აღნიშნული გამოწვევის დასაძლევად, მოსწავლეთა ინიციატივით, დამატებითი რესურსების მოძიების მიზნით წარიმართა თანამშრომლობა თვითმმართველობასა და ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან.

ზემოთ აღნიშნული კამპანიის შედეგად მოზარდებმა ადგილობრივი თვითმმართველობის, სასკოლო თემის წარმომადგენლების, მეწარმეების, სკოლის კურსდამთავრებულებისა და სხვა მხარდამჭერების ჩართულობით შეძლეს 6100 ლარისა და სკვერის მოსაწყობად საჭირო სამშენებლო მასალის ნაწილის მობილიზება. სასკოლო თემის მონაწილეობით მათ შეიძინეს მცენარეთა ნერგები. სკვერის ტერიტორიის მოსუფთავებაში ჩაერთნენ სოფელ კოდის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები და მშობლებიც.

საჭირო ფინანსური რესურსის მობილიზების მიზნით მოზარდებმა, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერების მიზნით დაგეგმეს მხატვრული ფილმების ფასიანი ჩვენება და განხილვა.

პროექტის განხორციელება დაიწყო 2023 წლის გაზაფხულზე და მისი ღირებულება 7500 ლარს შეადგენდა. აქედან პროექტის „უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის“ ფარგლებში გამოცხადებული სასკოლო ინიციატივების მცირე საგრანტო პროგრამით მოპოვებული თანხა იყო 1400 ლარი.



# შედეგები

მოსწავლეებმა პროექტის განხორციელების პროცესში ისწავლეს, თუ როგორ არის შესაძლებელი რისკებთან გამკლავება. მათ აღმოაჩინეს ალტერნატიული გზები არსებული გამოწვევების დასაძლევად, რაც მნიშვნელოვანი უნარი და შესაძლებლობაა. ამასთან, ჩვენი იდეის გარშემო გაერთიანდა მთლიანად სასკოლო საზოგადოება, ამგვარი პრეცედენტები ხელს უწყობს სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებას და მათში მონაწილეობის წახალისებას. გარდა ამისა, მოსწავლეებმა მიიღეს საინტერესო და საჭირო ინფორმაცია სხვადასხვა საგნობრივ კომპეტენციაში, განივითარეს გუნდური მუშაობისა და კომუნიკაციის, ასევე ადვოკატირების უნარ-ჩვევები.

# პროექტი „ტრადიცია და მეწარმეობა“

## სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბათის საჯარო სკოლა



## პროექტის შესახებ

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელები: **ციცინო გობაძე, ირა ძირკვაძე**

წალკაში აჭარიდან ჩამოსული ბევრი ეკომიგრანტი ცხოვრობს. მათთვის მნიშვნელოვანია ტრადიციების შენარჩუნება. აჭარული ნაქარგობა ქართული ტრადიციული რეწვის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია, რომელსაც 2020 წლის 2 ნოემბერს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა.

აჭარული ქარგვის ტრადიციას უფროსი თაობის ქალები ინარჩუნებენ, რადგან მხოლოდ მათ იციან უნიკალური ქარგვის ტექნიკა. აჭარაში ძველად ქარგავდნენ მაგიდის გადასაფარებლებსა და ფარდებს, რომლებითაც ტრადიციული აჭარული სახლის კედლები, ფანჯრები და კუთხეები იყო მორთული. საქარგავად იყენებდნენ ბუნებრივ და მეორეულ მასალებს. სამწუხაროდ, თემში მცხოვრები ახალგაზრდები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი ხელსაქმითა და იმ დარგებით, რომლებიც სოფლის მეურნეობას არ უკავშირდება.



## პროექტის მიზანი

სასკოლო საზოგადოების წევრების ცნობიერების ამაღლება პროფესიული მრავალფეროვნების კუთხით და მათი სამომავლო დასაქმების ხელშეწყობა ტრადიციული საქმიანობის განვითარების გზით



## პროექტის მოკლე აღწერა



საწყის ეტაპზე სკოლის ბაზაზე არსებული „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის“ ფასილიტატორებმა და კლუბის წევრებმა მიზნად დაისახეს აჭარული ნაქარგობის ისტორიის კვლევა. ამ მიზნით ესტუმრნენ ხელოვნების მუზეუმს თბილისში, სადაც გამოფენილია ტრადიციული რეწვის ნიმუშები, დაამუშავეს ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან, დაესწრნენ ადგილობრივი თემის წარმომადგენლის ლექციას ტრადიციული ნაქარგობის შესახებ.

საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებათა სფეროში მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით მათ ჩაატარეს კვლევა, რომლის მიზანი იყო აჭარული ნაქარგობის მასალის, ფერების, რელიგიური და ეროვნული ნიშნების შესწავლა.

მოსწავლეებმა გრაფიკული დიზაინის სპეციალისტის ფასილიტაციით გაიარეს გრაფიკული დიზაინის საბაზისო კურსი, რომლის ფარგლებშიც შექმნეს ქართული ორნამენტები; შემდეგ ისინი ტრადიციული „გადაშუშვის“ მეთოდით გადაიტანეს ტილოზე, ხელოვნების პედაგოგის ფასილიტაციით კი გაიუმჯობესეს ესკიზების შექმნისა და მათი ტილოზე ხელით გადატანის უნარ-ჩვევები.

თემის წარმომადგენელი ქალების ხელმძღვანელობით შეიქმნა აჭარული ნაქარგობის შემსწავლელი კლუბი, რომელშიც მოსწავლეებთან ერთად გაერთიანდნენ მშობლები და ადგილობრივი მოსახლეობის სხვა წარმომადგენლები. კლუბში მუშაობის შედეგად მათ მოამზადეს ტილოები, რომლებიც გამოფინეს ნალქის ფესტივალზე.

საინფორმაციო შეხვედრების, ექსკურსიისა და კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საბოლოოდ დაიწერა სტატია, რომელიც განათავსეს ბლოგზე სოციალურ სივრცეში.

პროექტის დასკვნით ეტაპზე მოეწყო განხორციელებული პროექტის პრეზენტაცია და მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. შემაჯამებელ ღონისძიებას ესწრებოდნენ პროექტში ჩართული მხარეები, კოლეჯ „მოდუსის“ თანამშრომლები, მეზობელ თემებში არსებული სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. შემოსული თანხის ერთი ნაწილით მოზარდებმა შეიძინეს მასალები კვლავწარმოებისთვის, ხოლო მეორე ნახევარი მოახმარეს ქველმოქმედებას.



პროექტი განხორციელდა შემდეგი საგნობრივი დისციპლინების ინტეგრირებით: ქართული ენა და ლიტერატურა, ბიოლოგია, ქიმია, მათემატიკა, სახვითი ხელოვნება, ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია, უცხო ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები.

პროექტის განხორციელება დაიწყო 2022 წლის გაზაფხულზე და მისი ღირებულება 1600 ლარს შეადგენდა.

## შედეგები

პროექტმა მოიტანა არაერთი სარგებელი როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე, ზოგადად, სკოლისთვის:

- შეიქმნა ბლოგი, რომელზედაც განთავსდა ინფორმაცია აჭარული ნაქარგობის შესახებ;
- შეიქმნა ქართული ორნამენტებით გაფორმებული აჭარული ნაქარგობის ნიმუშები;
- მოსწავლეებმა ისწავლეს გრაფიკული დიზაინისა და ესკიზების შექმნა და ქარგვა;
- გაცოცხლდა მივიწყებული ტრადიციული ქარგვის ხელოვნება;
- მოსწავლეებს განუვითარდათ სამეწარმეო უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

# პროექტი „მაკულტოლოგიიდან მარკეტოლოგიამდე“

## სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანის საჯარო სკოლა

## პროექტის შესახებ

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელები:
**ეკატერინე ქუთათელაძე, თამარ ინწკირველი**

ასკანის საჯარო სკოლის „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიაში“ გაერთიანებულმა მოსწავლეებმა შექმნეს მცირე საწარმო „გესაMONEYები“, რომელიც მიზნად ისახავს დეკორატიული ხელოვნების განვითარებას, სადღესასწაულო სუვენირების დამზადებას (საგანგებოდ უნდა განიმარტოს, რას გულისხმობს საწარმოს სახელწოდება: გურიაში „გესამანიად“ მოიხსენიებენ ნიჭიერ, სხარტ, გონებამახვილ, მოხერხებულ, მიხვედრილ ბავშვს. ინგლისურად „თარგმნა“ სიტყვის შუა ნაწილისა, რომელმაც „ფულის“ მნიშვნელობა შეიძინა, მიუთითებს, რომ საწარმოს მოგებაც მოაქვს). სკოლაში ამის ფონზე გაიზარდა მოსწავლეთა დასწრების დონე, ინტერესი და საქმიანობაში ჩართვის სურვილს გამოხატავს უამრავი მოსწავლე. ბავშვები ვითარდებიან ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით, თუმცა გამოიკვეთა ახალი პრობლემა – იკლო საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხმა. მოსწავლეებს გული სახელოსნოსკენ მიუწევდათ, საგაკვეთილო პროცესში მათი კონცენტრირების დონე დაქვეითდა.

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის კლება, მეტწილად, სასწავლო რესურსების არქონამ განაპირობა. მოზარდებს ვიზუალიზაციის გარეშე უჭირთ მოვლენების კლასიფიცირება, სისტემატიზება და წარმოსახვით საგნების მოდელირება. ამიტომ სკოლაში დაარსებული საწარმოს, „გესაMONEYების“, მუშაობას ორი მიმართულება მიეცა:

1. სადღესასწაულო სუვენირების/რესურსების შექმნა
2. სასწავლო-შემეცნებითი რესურსების/მაკეტების შექმნა



აღნიშნულმა პროექტმა გააჩინა შესაძლებლობა, სკოლას სწავლა-სწავლების პროცესში ძირითად მეთოდურ მიმართულებებად გამოეყო მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, თანასწორობის პრინციპების დაცვა, სიღრმისეული სწავლება, მოსწავლის მოტივაციის გაზრდა, დისციპლინა და მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა.

## პროექტის მიზანი

**მოსწავლეთა მიერ სასწავლო რესურსების დამზადება და მათი გამოყენებით საგაკვეთილო პროცესის ეფექტიანი მართვის ხელშეწყობა**



# პროექტის მოკლე აღწერა

პროექტის საწყის ეტაპზე მოსწავლეები გადანაწილდნენ ჯგუფებში შემდეგი საგნობრივი კომპეტენციების მიხედვით: გეოგრაფია, ისტორია, ბიოლოგია, ხელოვნება. შემდეგ მოსწავლეები ეწვივნენ ოზურგეთის ტექნოპარკს და გაეცნენ მათთვის საინტერესო ინფორმაციას მაკეტების შექმნის შესახებ.

პროექტის ფარგლებში, მასწავლებლისა და ფასილიტატორების დახმარებით მოსწავლეებმა იმუშავეს მაკეტების დამზადებაზე, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა შემოქმედებით პროექტში, გაიგეს და გაიაზრეს არქიტექტურული მოდელირების არსი, დაეუფლნენ სივრცული მოწყობის ხერხებს, ნაგებობის გეომეტრიულ აღქმას სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით.

ოზურგეთის ტექნოპარკთან თანამშრომლობით, ლაზერმჭრელისა და 3D პრინტერის გამოყენებით დამზადდა ყალიბები.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა 4 მაკეტი, კერძოდ:
- ხელოვნება – ათენის აკროპოლისის მაკეტი
- გეოგრაფია – დედამიწის მოძრაობა მზის სისტემის გარშემო
- ბიოლოგია – თავის ტვინის მაკეტი
- ისტორია – დიდგორის ბრძოლის მაკეტი

თითოეული მოდელის მომზადება სასწავლო პროცესის ძირითადი ნაწილი იყო. პროექტის საბოლოო ეტაპზე მომზადდა საგაკვეთილო გეგმები ზემოაღნიშნულ საგნებში.

პროექტის დასკვნით ეტაპზე გაიმართა შემაჯამებელი პრეზენტაცია.

პროექტი განხორციელდა 2023 წლის გაზაფხულზე და მისი ღირებულება 1400 ლარს შეადგენდა.



## შედეგები

რესურსების დამზადების შედეგად მოსწავლეებმა შეძლეს ისტორიული ეპოქების უკეთ აღქმა, გაიაზრეს საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალი, განივითარეს ხელოვნების ნიმუშებზე, საკუთარ და სხვის ნამუშევრებზე მსჯელობისა და მათი ინტერპრეტაციის უნარი; გაუჩნდათ ინტერესი ფიზიკური პროცესების და ცოცხალი სამყაროს შესწავლის მიმართ; ამასთან, განიმტკიცეს სამეწარმეო უნარ-ჩვევები.

გარდა ამისა, მოზარდებმა გააცნობიერეს, რომ მათ შეუძლიათ და მართებთ საკუთარ ქვეყანაში (თემში/მუნიციპალიტეტში/სახელმწიფოში) პოზიტიური ცვლილებების განხორციელება; გამოუმუშავდათ მოქალაქისთვის საჭირო უნარ-ჩვევები (თანამშრომლობის, კონფლიქტის მართვის, სამეწარმეო და ფინანსური) და ღირებულებები/დამოკიდებულებები (ადამიანის უფლებების, განსხვავებული აზრის პატივისცემა, ტოლერანტობა).

# პროექტი „შრომის გუდა“

სსიპ ნიკო მარის სახელობის დაბა ჩოხატაურის N1 საჯარო სკოლა

## პროექტის შესახებ

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი:
**თამარ მეგრელიძე**




იქიდან გამომდინარე, რომ მოსწავლეები დღის განმავლობაში დროის დიდ ნაწილს საკლასო ოთახში ატარებენ, მნიშვნელოვანია, ეს სივრცე იყოს მოწესრიგებული და იწვევდეს დადებით ემოციებს, ან ასოცირდებოდეს მათთან. აკადემიური პროცესის პარალელურად, სწორედ აღნიშნულ სივრცეში მიმდინარეობს მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი. შესაბამისად, საჭიროა საკლასო ოთახში ზრუნვასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემოს შექმნა. მოზარდებმა შეიმუშავეს საკლასო ოთახის მენეჯმენტის წესები, დაამზადეს საჭირო აქსესუარები და რესურსები, კლასში სისუფთავის დაცვისთვის საჭირო სანიტარიულ-ჰიგიენური საშუალებები და შექმნეს მულტიფუნქციური ტომარა „შრომის გუდა“.





## პროექტის მიზანი

სკოლაში სუფთა, ჯანსაღი, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა მოსწავლეებში სამეწარმეო აზროვნების სტიმულირებითა და ბიზნესსაქმიანობის გამოცდილების დაგროვებით

# პროექტის მოკლე აღწერა

საწყის ეტაპზე განხორციელდა საინფორმაციო კამპანია პროექტის შესახებ, რომლის ფარგლებში კლუბის წევრებმა სხვადასხვა ფორმატში შექმნეს საინფორმაციო მასალები და გაავრცელეს სკოლაში.

პროექტი განხორციელდა შემდეგი საგნობრივი დისციპლინების ინტეგრირებით: სამოქალაქო განათლება, ხელოვნება, ბიოლოგია, ქიმია, მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, მუსიკა.

სამოქალაქო განათლება – მოსწავლეებმა აიმაღლეს ცნობიერების დონე საერთო სივრცეზე ზრუნვის პასუხისმგებლობის, პიროვნული განვითარებისათვის ჯანსაღი გარემოსა და ჰიგიენის წესების დაცვის, გარემოზე ზემოქმედების შემცირების, კვლავწარმოების მნიშვნელობის შესახებ.

ხელოვნება – პროდუქტის შეფუთვის დიზაინის შემუშავება; ფერების, ფორმების შერჩევა და მნიშვნელობის განსაზღვრა; ნივთების დიზაინის შერჩევა, მაგალითად, ნაქარგების ფორმები და ა.შ.

ბიოლოგია/ბუნებისმეტყველება – მოსწავლეებმა მიკრობების გავრცელების შედეგების და მათი პრევენციის გზების კვლევის შედეგად განსაზღვრეს, თუ რა გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე დაბინძურებულ ოთახში ყოფნა.

ქიმია – საჭირო ქსოვილის შერჩევა მშრალი და სველი წესით ოთახის დასუფთავების უზრუნველსაყოფად, სადეზინფენქციო ხსნარის დამზადების წესები, ხსნარის შემადგენლობის განსაზღვრა

მათემატიკა – დაანგარიშდა პროექტის ბიუჯეტი, გაწეული ხარჯები და შემოსავლები.

პროექტის ფარგლებში განხორციელებულ კომპლექსურ აქტივობებს შორის უნდა დასახელდეს ოზურგეთის ტექნოპარკთან თანამშრომლობა, რითაც მოზარდებმა მნიშვნელოვანი გამოცდილება მიიღეს. სხვადასხვა დეტალი დამზადდა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭერით.

მოზარდებმა მოიპოვეს მხარდაჭერა და წარმატებით ითანამშრომლეს მარკეტინგულ კომპანიასთან BRANDHAND (ბრენდჰენდი), რომელიც მათ პროდუქტის ბრენდირებაში დაეხმარა. თავად ლოგოს დიზაინი მოსწავლეებმა ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით შეიმუშავეს.

„შრომის გუდა" საკმაოდ პოპულარული და მოთხოვნადი პროდუქტი გახდა. საწყის ეტაპზე პროექტის ფარგლებში დამზადდა 50 ეგზემპლარი, თუმცა მოზარდები წარმოების გაფართოებას გეგმავენ. ამისთვის ამზადებენ ინიციატივას ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოში წარსადგენად.

პროექტის განხორციელება დაიწყო 2023 წლის გაზაფხულზე და საწყის ეტაპზე მისი ღირებულება 1094 ლარს შეადგენდა.



# შედეგები

პროექტის განხორციელების შედეგად მოსწავლეებს განუვითარდათ იდეების გენერირების, შესაძლებლობების ამოცნობის, რესურსების მობილიზებისა და მართვის, იდეების პრაქტიკულად განხორციელების უნარ-ჩვევები. პროექტში ჩართულ მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ მოცემულ თუ სხვა ახალ საქმიანობაში მოიძიონ გარკვეული პრობლემების მოგვარების ახალი, ინოვაციური შესაძლებლობები, ბაზრის კვლევის საფუძველზე შექმნან პროდუქტი და მომსახურება მოარგონ ცალკეული ადამიანების გამოწვევებსა და ინტერესებს. პროექტის რეალიზების შედეგად შექმნილი პროდუქტი არის ინოვაციური, პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული. ის ხელს უწყობს ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას, ამარტივებს და საინტერესოს ხდის სასკოლო საქმიანობას, აჯანსაღებს გარემოს და ცვლის ადამიანებს უკეთესობისკენ.

პროექტის განხორციელების შედეგად ამაღლდა სასკოლო საზოგადოების ცნობიერება სოციალურ გარემოზე ზრუნვის პასუხისმგებლობასთან მიმართებით. საინტერესო აქტივობების ჩატარებამ გაზარდა მათი მოტივაცია და ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, სახალისო გახდა რუტინულ და მიუღებელ, მოსაბეზრებელ შრომად მიჩნეული საქმიანობა. სკოლის საკლასო ოთახები არის სუფთა და მოწესრიგებული, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება აკადემიურ მოსწრებასა და სხვა მიღწევებზე. მოსწავლეებსა და მშობლებში პროექტმა ხელი შეუწყო სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდის, ზრუნვის მოთხოვნილებისა და პატივისცემის გაძლიერებას, რაც პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნის საწინდარია.

პროექტი სამომავლო პერსპექტივითაც შედეგიანი და მდგრადია. წარმოებიდან მიღებული სარგებელი მოხმარდება პროდუქტის კვლავწარმოებას. შეიქმნება სოციალური გვერდები და ქვეყნის მასშტაბით მოხდება პროდუქტის რეალიზება.

# პროექტი
# „ყველი საქართველოს ძველი სიმდიდრეა“
## სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნარუჯის საჯარო სკოლა

## პროექტის შესახებ

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელები:
**თინა ასათიანი,
მედეა ობოლაძე-ცაგარეიშვილი**



დაბა ნარუჯა მდებარეობს გურიაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. იგი ყოფილი საბჭოთა მეურნეობაა, რომელიც თავიდანვე გამოირჩეოდა მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნებით. აქ მცხოვრებნი, დღევანდელი მონაცემებით, მიწათმოქმედებასთან ერთად, მისდევენ მესაქონლეობას და გასაყიდად ამზადებენ ყველს. ამ რძის პროდუქტს უმეტესად საოჯახო პირობებში აწარმოებენ, მაგრამ თემში არიან მცირე ფერმერებიც. განვითარებულია სეზონური მესაქონლეობაც. ზაფხულში საქონელი მიჰყავთ ალპურ საძოვრებზე და იქაც ამზადებენ ყველს. ეთნიკური მრავალფეროვნება განაპირობებს იმას, რომ სოფელში გავრცელებულია ყველის მრავალი სახეობა. ისინი განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც ფორმით, ასევე მომზადების ტექნოლოგიით.

სამწუხაროდ, ადგილობრივ მოსახლეობას არ უცდია წარმოების მნიშვნელოვნად გაფართოება, დაბაში ტურისტების მოზიდვა, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებდა ეკონომიკურ მდგომარეობას. ამასთან, თემში უამრავი მცირე ფერმერია, რომლებიც ამზადებენ სხვადასხვა სახეობის ყველს, თუმცა ცნობილი არაა, რამდენად შეესაბამება მათი საქმიანობა დაწესებულ სტანდარტებს; რამდენად ნატურალურია ის პროდუქტი, რომელსაც ისინი აწარმოებენ. „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის“ წევრები დაინტერესდნენ ამ საკითხებით და გადაწყვიტეს, უფრო მეტი ინფორმაცია მიეღოთ და დეტალურად შეესწავლათ ყველის წარმოება და მისი სამომავლო განვითარების პერსპექტივა თავიანთ თემში.



## პროექტის მიზანი

თემში არსებული ყველის სახეობების შესწავლა, პოპულარიზაცია და სამეწარმეო კომპეტენციების პრაქტიკაში გადატანა



## პროექტის მოკლე აღწერა

სკოლაში შეიქმნა მასწავლებელთა ჯგუფი. თითოეულ საგნობრივ ჯგუფში მოსწავლეებთან ერთად განისაზღვრა ძირითადი საკვლევი საკითხები ყველის წარმოებისა და რეალიზაციის შესახებ, კერძოდ:

ისტორია – ყველის სახეობები ნარუჯის თემში; ყველის წარმოების ტრადიციები თემის მრავალფეროვნების გათვალისწინებით; ჭურჭელი, რომელშიც ინახებოდა/ინახება ყველი; ვაჭრობის ტრადიციები

სამოქალაქო განათლება – სტანდარტები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველი ბაზარზე; სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა – როგორი პროდუქტი აწარმოოს მეწარმემ, რა პასუხისმგებლობები აქვს მას

მათემატიკა – ბაზრის შესწავლა (შრომის გენდერული გადანაწილების გათვალისწინებით); მომხმარებლის მოსაზრებების იდენტიფიცირება; ბაზრის კვლევის შესწავლის შედეგად მიღებული შედეგების დამუშავება; სტატისტიკის მომზადება – როგორია მოთხოვნა და მიწოდება, ფასი და ა.შ.

ბიოლოგია/ბოტანიკა – რა საკითხები უნდა იქნეს გათვალისწინებული ყველის წარმოების პროცესში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მისაღებად; რა მავნე ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს არასწორად მომზადებულმა ნაწარმმა ადამიანის ჯანმრთელობაზე; ბალახი, რომლითაც იკვებება ძროხა და მისი გავლენა ყველის გემოზე

ქიმია – რა ქიმიური პროცესები მიმდინარეობს ყველის წარმოების პროცესში; შენახვის და დაძველების პერიოდში მიმდინარე ქიმიური პროცესები და ტექნოლოგიები

გეოგრაფია – კლიმატის მნიშვნელობის განსაზღვრა ყველის წარმოების პროცესზე, მის ცხიმიანობასა და გემოზე

ქართულიენა/ინგლისური ენა – ყველის შესახებ მცირე ბუკლეტისთვის ორენოვანი ტექსტების მომზადება და რედაქტირება

პროექტის განხორციელების პროცესში მოზარდები შეხვდნენ სფეროს ექსპერტებს, ყველის დამზადების სპეციალისტს, სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელს. ჩატარდა ინტერვიუები სოფლის უხუცესებთან ყველის ტრადიციული წარმოების შესახებ. მოსწავლეები ეწვივნენ დაბა ნარუჯის თემსა და მის შემოგარენში არსებულ ფერმებს და ადგილზე გაეცნენ ყველის წარმოების პროცესს.

პროექტის ფარგლებში მოძიებული და შესწავლილი ინფორმაცია დამუშავდა და შემაჯამებელ პრეზენტაციაზე წარედგინა ნარუჯის თემის მცხოვრებლებს.

პროექტის განხორციელება დაიწყო 2023 წლის გაზაფხულზე და საწყის ეტაპზე მისი ღირებულება 1440 ლარს შეადგენდა.



## შედეგები

პროექტის განხორციელების შედეგად მოსწავლეებს გაუუმჯობესდათ გუნდური მუშაობის, კომუნიკაციისა და ინფორმაციის მოძიება-დამუშავების უნარ-ჩვევები. ისინი დაინტერესდნენ თემის წარსულით და ამჟამინდელი შესაძლებლობებით; მეტი გაიგეს ტრადიციული საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა, აღმოაჩინეს, თუ როგორ არის დაკავშირებული ჩვენი ყოველდღიური ყოფა იმ საგნობრივ კომპეტენციებთან, რომლებსაც ისინი სკოლაში სწავლობენ. ამგვარად, მიღებული ცოდნა იოლად დაუკავშირეს პრაქტიკულ საქმიანობას.

# პროექტი
# „სუფთა წყალი – ჯანმრთელი ბავშვი“
### სსიპ ქალაქ ბოლნისის მე-5 საჯარო სკოლა

## პროექტის შესახებ

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელები: **თინა ლობჟანიძე, ნინო ჯინჭარაძე**

დღეს, როდესაც მსოფლიო მასშტაბური ეკოლოგიური გამოწვევების წინაშე დგას, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა სუფთა წყლისა და სუფთა ჰაერის შენარჩუნება, გარემოზე ზრუნვა. საქართველომ ხელი მოაწერა მდგრადი განვითარების 17 მიზნის განხორციელების დოკუმენტს, რომელშიც მეექვსე მიზანი სწორედ სუფთა წყლისა და სანიტარიის საკითხს მიემართება. შესაბამისად, ჩვენმა სახელმწიფომ აიღო პასუხისმგებლობა, 2030 წლისათვის უზრუნველყოს ყველა ადამიანისთვის საყოველთაო და თანაბარი წვდომა უსაფრთხო და ხელმისაწვდომ სასმელ წყალზე, ასევე დაინერგოს წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა ყველა დონეზე, მათ შორის, შესაძლებლობების ფარგლებში, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გზით.

ბოლნისის მუნიციპალიტეტს ესაზღვრება კაზრეთის დასახლებული პუნქტი, სადაც ჯერ კიდევ 2014 წელს სურსათის ეროვნული სააგენტოს ლაბორატორიული კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ სასმელ წყალში პესტიციდების საერთო შემცველობამ დაშვებულ ნორმას გადააჭარბა. აღსანიშნავია კაზრეთში გახშირებული დაავადებებიც, კერძოდ, ჩიყვი, სიმსივნე და ლეიკემია.

სკოლა არის ადგილი, სადაც მოსწავლემ უნდა შეიძინოს უნარ-ჩვევები, რომლებიც მას პრობლემების მოგვარებისა და ადვოკატირების პროცესში სჭირდება. მოზარდებში დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერება თავისთავად გულისხმობს, რომ მომავალში მათ უნდა აუმაღლდეთ ცნობიერება მწვანე მეწარმეობის, გარემოზე ზრუნვისა და საკუთარ თემში არსებული პრობლემების მოგვარების პროცესში მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ. ვინაიდან ბოლნისის მუნიციპალიტეტში ეთნიკური მრავალფეროვნებაა, მნიშვნელოვანი იყო პროექტის ფარგლებში საკომუნიკაციო არხების გამოძებნა აზერბაიჯანულ და სომხურენოვან მოსახლეობასთან. ამისათვის მომზადდა საინფორმაციო ვიდეომიმართვები ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

პრობლემის გადაჭრის გზებზე ფიქრისას, პროექტის დაგეგმვის ეტაპზე, მოსწავლეებთან ერთად, მათ მიერ შემოთავაზებული იდეის საფუძველზე, გადაწყდა, შეგვექმნა ისეთი რამ, რაც მოერგებოდა მოზარდთა ინტერესს და უზრუნველყოფდა მათ სრულ ჩართულობას.





## პროექტის მიზანი

მწვანე მეწარმეობის თემის პოპულარიზაცია და გარემოზე ზრუნვა „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის“ წევრების მონაწილეობით



# პროექტის მოკლე აღწერა

პროექტის საწყის ეტაპზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენების, მათემატიკის საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები, დაზუსტდა სამოქმედო გეგმა და განისაზღვრა პასუხისმგებლობები. მასწავლებლებმა მოსწავლეებთან ერთად საგნების მიხედვით განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა წყლის სტრუქტურისა და მასში საშიში მინარევების კვლევა, წყლის მიწოდებისა და ჭავლის გამოწვევის საშუალებები, წყლის ფილტრის შესაქმნელი მასალის შერჩევა და სხვ.

განხორციელდა კვლევა, რათა გამოვლენილიყო თემში არსებული პრობლემები, მოსახლეობის დამოკიდებულება ნარჩენების გატანის მიმართ; დადგენილიყო, უქმნით თუ არა პრობლემას დაბინძურებული გარემო; მიეწოდებათ თუ არა ინფორმაცია მათ საცხოვრებელთან ახლოს მდებარე ქაზრეთის საბადოს უსაფრთხო მუშაობის შესახებ.

საკვლევი ინსტრუმენტები ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.



გარდა ამისა, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, განხილულ იქნა საკითხთან დაკავშირებული პრობლემები, დაისვა კითხვები, თუ რა ინფორმაციას ფლობენ და როგორ მართავენ იმ რისკებს, რომლებსაც ქმნის გარემოს დაბინძურება; არსებობს თუ არა რაიმე პროგრამა ან თავდაცვის მექანიზმი პრობლემის თავიდან ასახილებლად.

მოსწავლეებმა მოწვეული ექსპერტის დახმარებით ჩაატარეს წყლის ხარისხის კვლევა და დაიწყეს წყლის ფილტრის შექმნაზე მუშაობა. ფილტრის შექმნის პროცესში სკოლამ ითანამშრომლა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, რომლის წარმომადგენლებმაც მოზარდებს მიაწოდეს რეკომენდაციები წყლის ფილტრის შემადგენლობასთან დაკავშირებით.

დამზადდა საინფორმაციო ბუკლეტები და ვიდეორგოლები სხვადასხვა ენაზე (ბოლნისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ენებზე), რომლებიც განთავსდა პროექტისთვის სპეციალურად შექმნილ FACEBOOK-გვერდზე; მომზადდა სტატია, რომელიც გამოქვეყნდა ადგილობრივი მედიის ორგანოში.

საბოლოოდ, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარდა პროექტისა და წყლის ფილტრის პრეზენტაცია.

პროექტის განხორციელება დაიწყო 2023 წლის გაზაფხულზე და საწყის ეტაპზე მისი ღირებულება 1500 ლარს შეადგენდა.




## შედეგები

პროექტის განხორციელების შედეგად მოსწავლეებმა განივითარეს მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, შექმნეს კრეატიული, ინოვაციური პროდუქტი, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს როგორც გარემოს, ისე ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. ეს შედეგი კი მიღებულ იქნა სხვადასხვა საგნობრივი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გადატანით.

პროექტის მიზანი იყო წყლის გასაფილტრი ინოვაციური პროდუქტის შექმნა, მაგრამ მუშაობის პროცესში აღმოჩნდა, რომ შექმნილი ხელსაწყო მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა წყლის წნევას, რითაც შესაძლებელი გახდებოდა წყლის რესურსების დაზოგვა.

გაიზარდა მოსწავლეების ინფორმირებულობის დონე. მათ დაინახეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მნიშვნელობა ყოველდღიურ ცხოვრებაში; განუვითარდათ პრობლემების აღმოჩენის და მათი გადაჭრის ეფექტიანი გზების ძიების უნარ-ჩვევები, ასევე ემპათიის განცდა და დედამიწაზე ზრუნვის პასუხისმგებლობა.

# პროექტი „არაფორმალური განათლების სივრცე – სკოლის კინოკლუბი“

სსიპ ქალაქ რუსთავის 21-ე საჯარო სკოლა



## პროექტის შესახებ

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელები:
**ლამარა სამხარაძე, ნინო შარიქაძე**

ქ. რუსთავის №21 საჯარო სკოლის ბაზაზე დაფუძნებული სასკოლო კლუბის, „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის“, მოსწავლეებმა სკოლისა და ქალაქის პრობლემების დასადგენად ჩაატარეს კვლევა. გამოიკითხა 121 მოსწავლე. მათი 95% მნიშვნელოვნად მიიჩნევდა ქალაქში კინოთეატრის არსებობას. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებს სასკოლო ასაკიდანვე განუვითარდეთ პრობლემების იდენტიფიცირების და მათი ადვოკატირების პროცესისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. ამასთან, სწორედ სკოლა უნდა დაეხმაროს მათ, გაუჩნდეთ ემპათიის განცდა თანამოქალაქეების და მათი პრობლემების მიმართ და ჰქონდეთ სურვილი, საკუთარი წვლილი შეიტანონ პრობლემების გადაჭრაში. სწორედ ამიტომ გაჩნდა იდეა, საჭიროების შესაბამისად, სკოლის ბაზაზე გაგვეხსნა კინოკლუბი, რომელიც ღია იქნებოდა ყველა მსურველისთვის.



## პროექტის მიზანი

მოსწავლეთა წვდომა არაფორმალურ განათლებაზე, ცნობიერების ამაღლება დემოკრატიულ ღირებულებებსა და გარემოსდაცვით საკითხებზე, სამეწარმეო უნარ-ჩვევების გაძლიერება

# პროექტის მოკლე აღწერა

თავდაპირველად მოსწავლეებთან ერთად შემუშავდა კინოკლუბის კონცეფცია, შეიქმნა ბილეთების ტექსტი და დიზაინი კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, დაანგარიშდა ხარჯი და, შესაბამისად, ბილეთის ღირებულებაც. ამ პროცესში ჩაერთნენ ხელოვნების, კომპიუტერული ტექნოლოგიების, ქართული ენისა და მათემატიკის მასწავლებლები.



ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, დაინტერესებულ პირებს არა მხოლოდ ფილმები ენახათ, არამედ შეგვერჩია ისეთი თემატიკა, რომ ფილმის ნახვას მოჰყოლოდა დისკუსია. წინასწარ განისაზღვრა სადისკუსიო თემები: გარემოს დაცვა, მეწარმეობა, დემოკრატიული ღირებულებები. საბოლოოდ, შევიძინეთ კინოკლუბისთვის საჭირო ტექნიკა და ინვენტარი და დავიწყეთ მუშაობა.

პროექტის განხორციელება დაიწყო 2023 წლის გაზაფხულზე და საწყის ეტაპზე მისი ღირებულება 1350 ლარს შეადგენდა, ხოლო პროექტის დასრულების შემდეგ მას დაემატა კინოჩვენებებით გამომუშავებული 1570 ლარი.



## შედეგები

სკოლაში მოსწავლეთა ჩართულობით შეიქმნა სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება, ერთი მხრივ, შეივსოს ის დანაკლისი, რომელიც ქალაქში გამოიკვეთა (კინოთეატრის არარსებობა); მეორე მხრივ, გაიმართოს მსჯელობა გარემოში არსებულ პრობლემებზე, იქ შეკრებილნი გაეცნონ ერთმანეთის მოსაზრებებს. ეს კი ავითარებს ისეთ უნარ-ჩვევებს, როგორიცაა კომუნიკაცია, დისკუსიის წარმართვა, კრიტიკული აზროვნება, მსჯელობა და სხვ. ამასთან, მოსწავლეებში გაძლიერდა სამეწარმეო უნარ-ჩვევები, სასკოლო საზოგადოებაში გაიზარდა ემპათიის ხარისხი სხვადასხვა საჭიროების მქონე ადამიანების მიმართ.

# პროექტი გადაუდებელი მდგომარეობის სამაჯური /EMERGENCY BRACELET

სსიპ ქალაქ რუსთავის 21-ე საჯარო სკოლა

## პროექტის შესახებ




სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელები:
**ლამარა სამხარაძე, ნინო შარიქაძე**



ხშირად ვხდებით მოწმენი სიტუაციისა, როდესაც, მაგალითად, დემენციით დაავადებული პირები იკარგებიან საცხოვრებელი ადგილიდან და საჭირო ხდება მათზე ძებნის გამოცხადება. ასევე, შესაძლოა, შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ადამიანი აღმოჩნდეს კრიტიკულ სიტუაციაში, დაკარგოს გონება. ასეთ დროს დამხმარე პერსონალმა უნდა შეძლოს პაციენტის საჭიროების განსაზღვრა და გადაუდებელი დახმარების ეფექტიანად გაწევა, რისთვისაც საჭიროა, ვფლობდეთ ადამიანის შესახებ მნიშვნელოვან სამედიცინო ინფორმაციას. ამის გაგებას ხშირად დიდი დრო სჭირდება. ასეთ სიტუაციაში კი დროის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამგვარი შემთხვევების ეფექტიანად მართვის მიზნით გაჩნდა იდეა, შეგვექმნა გადაუდებელი მდგომარეობის სამაჯური/EMERGENCY BRACELET. ამისთვის საჭირო იყო, შეგვეძინა NFC ჩიპი. ეს არის დაახლოებით 1 სმ სიდიდის მყარი დისკი 888 ბაიტი მეხსიერებით, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მონაცემების უკაბელოდ გადაცემა. როდესაც ჩიპს მიუახლოვდება წამკითხველი მოწყობილობა, მაგნიტური ველის დახმარებით სმარტფონში შესაძლებელი ხდება მასზე დატანილი მონაცემების წაკითხვა. დისკი არ საჭიროებს დამუხტვას, სრულიად მყარია, წყალგამძლეა და უძლებს სხვა ტიპის დატვირთვასაც. ტექნოლოგიური პროგრესი საშუალებას იძლევა, გზააბნეული ადამიანი მოწყობილობის გამოყენებით დაუკავშირდეს საპოლიციო? 



## პროექტის მიზანი

მოზარდებში სოციალური მეწარმეობისა და ზრუნვის უნარ-ჩვევების გაძლიერება, ინკლუზიურობის ხარისხის გაზრდის ხელშეწყობა STEM-საგნების გამოყენებით

## პროექტის მოკლე აღწერა

პროექტის საწყის ეტაპზე საბუნებისმეტყველო საგნების, ქართული ენისა და ლიტერატურის, ხელოვნების, ისტ-ის (ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) მასწავლებლების ჩართულობით განისაზღვრა სამოქმედო გეგმა და გადანაწილდა პასუხისმგებლობები. ჩატარდა კვლევა სხვადასხვა საგანში, რომლის მიზანი იყო „ჭკვიანი“ სამაჯურის საჭიროების, დამზადებისა და შესაძლებლობების, გამოყენების წესის, სამიზნე ჯგუფების, სხვადასხვა სინდრომისა და დაავადების იდენტიფიცირების შესახებ ინფორმაციის მოძიება და ანალიზი. კვლევის პროცესში ჩართულ იქნა STEM-საგნები, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, გეოგრაფია, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. კვლევის შედეგად გაეცა პასუხები კითხვას, ვის და რატომ სჭირდება ასეთი სამაჯურის გამოყენება.

კვლევის ფარგლებში ასევე გაანალიზდა ბაზარზე არსებული მსგავსი პროდუქციის ფასისა და უპირატესობების გონივრული თანხვედრა; განისაზღვრა პროექტის ფარგლებში დამზადებული პროდუქტის საწარმოო ფასი და მოგების კოეფიციენტი შეიქმნა „ჭკვიანი“ სამაჯურის დიზაინიც.

იქიდან გამომდინარე, რომ სკოლაში არ არსებობს სამაჯურის დამზადებისთვის საჭირო ტექნიკა, პროგრამირების ნაწილს მენტორობა გაუწიეს „ფაბლაბ ილიაუნის“ წარმომადგენლებმა. ისინი დისტანციური ფორმატის გამოყენებით მართავდნენ სამუშაო შეხვედრებს მოზარდებთან და კონსულტაციას უწევდნენ მათ. ONLINE-ფორმატის გარდა, ჩატარდა ორი შეხვედრა თბილისში „ფაბლაბ ილიაუნის“ სამრეწველო დანადგარების გამოყენების მიზნით. ლაბორატორიის წარმომადგენლები კონსულტირებას უწევდნენ „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის“ წევრებს. საბოლოოდ, გაიმართა შექმნილი პროდუქტის პრეზენტაცია.

პროექტის განხორციელება დაიწყო 2023 წლის გაზაფხულზე და საწყის ეტაპზე მისი ღირებულება 1100 ლარს შეადგენდა.



## შედეგები

პროექტის განხორციელების შედეგად:

- გაძლიერდა მოზარდებში სამეწარმეო უნარ-ჩვევები და ღირებულებები;
- სასკოლო საზოგადოებაში გაიზარდა ემპათიის ხარისხი სხვადასხვა საჭიროების მქონე ადამიანების მიმართ;
- მოზარდებმა მიიღეს ღიღძალი და მრავალმხრივი ინფორმაცია ტექნოლოგიური ინჟინერიის გამოყენების შესაძლებლობებისა და მომავლის პროფესიების შესახებ;
- გაცილებით გაადვილდა ნებისმიერი ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სანდო ინფორმაციის გაგება.

# პროექტი „სამოყვარულო ვენახიდან სამეწარმეო ვენახისკენ“

## სსიპ აკაკი სურგულაძის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლა



## პროექტის შესახებ

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი:
**ნინო სადრაძე**

შემოქმედის საჯარო სკოლამ მოსწავლეთა საგანმანათლებლო და სოციალური საჭიროებების დადგენის მიზნით ჩატარებული კვლევის საფუძველზე აღმოაჩინა, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას საკუთარი რეგიონისა თუ თემის შესაძლებლობებისა და იქ არსებული რესურსების შესახებ, სოფელში მაღალია მიგრაციის მაჩვენებელიც. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანი გახდა, მოსწავლეებში სამეწარმეო კომპეტენციების გაძლიერება დაკავშირებოდა სოფლის ცხოვრების ისეთ განუყოფელ საქმიანობას, როგორიცაა მევენახეობა-მეღვინეობა. იქიდან გამომდინარე, რომ მეწარმეობა, როგორც კომპეტენცია, მოიაზრებს გრძელი გზის გავლას იდეის გაჩენიდან საბოლოო პროდუქტის მიღებამდე, სკოლის წარმომადგენლებმა დასახეს მიზნები თუ საქმიანობები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, შეიტანდა წვლილს ახალგაზრდების სამეწარმეო უნარ-ჩვევების გაძლიერებაში; გააცნობდა მათ საკუთარი სოფლის წარსულს, რაც ახალი შესაძლებლობების დანახვის საშუალებასაც იძლევა.





## პროექტის მიზანი

მოსწავლეებში სამეწარმეო უნარ-ჩვევების გაძლიერება სასკოლო დისციპლინების ინტეგრირების გზით და ვაზისა და ღვინის შესახებ არსებული ინფორმაციის კვლევა შემოქმედის თემის „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის“ მოსწავლეთა ჩართულობით

## პროექტის მოკლე აღწერა



საწყის ეტაპზე მასწავლებლებმა დააკომპლექტეს გუნდები, შეადგინეს აქტივობების გეგმა, გაწერეს შესრულების ვადები. პროექტისთვის სულ ცხრა საგანი შეირჩა: მათემატიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, უცხოური ენები, ხელოვნება, მუსიკა, ფოლკლორი და მითოლოგია.

თემის სირთულიდან გამომდინარე, პროექტს ჰყავდა კონსულტანტი, პროფესიონალი მეღვინე, რომელიც მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის ატარებდა ONLINE-შეხვედრებს. სულ პროექტში 72 მოსწავლე ჩაერთო.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეები იმყოფებოდნენ ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და საჯარო ბიბლიოთეკაში, სადაც მოიძიეს საინტერესო მასალები, დაათვალიერეს ექსპონატები. საოჯახო სასტუმროებსა და მარნებში მასპინძლებმა მოსწავლეებს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება. მოზარდები ეწვივნენ ადგილობრივ მეწარმეებს, სუპერმარკეტებს, ღვინის სახლს; მოირგეს ჟურნალისტის როლი, აიღეს ინტერვიუები სოფლის უხუცესებისგან, მათგან, ვისაც კარგად ახსოვდა ის ტრადიციები, რომლებითაც გურულები გამოირჩეოდნენ; აღწერეს თემში არსებული კულინარიული გამოცდილება, რომელშიც დომინანტი არის ყურძენი და ღვინო.

საგნობრივ ჯგუფებში კი კონფერენციისთვის დამუშავდა შემდეგი თემები: ღვინის ღვთაება გურულ ფოლკლორსა და მითოლოგიაში; მეღვინეობა-მევენახეობის კულტურის ისტორია; ღვინის ქიმიური შემადგენლობა, დაყენების ტექნოლოგია, დაავადებები; ეტიკეტი და მისი გავლენა ღვინის რეალიზაციაზე; ღვინო, მარანი და მათთან ურთიერთობის კულტურა და ტრადიციები; გურული კერძები და ღვინო და სხვ. საგნისა და თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, გუნდებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება პასუხისმგებელ უწყებებს რეაგირებისთვის. კონფერენციას დაესწრნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, ადგილობრივი მეწარმეები, მშობლები, მოსწავლეები, მუნიციპალიტეტის სკოლების, ადგილობრივი პრესის წარმომადგენლები, რომლებმაც ინფორმაცია კონფერენციის შესახებ გაავრცელეს რაიონულ და რეგიონულ გაზეთებში.

საკონფერენციო ნაშრომებიდან სამი დაიბეჭდა ადგილობრივ პრესაში. სკოლა მადლობელია თითოეულის, ვინც თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანა პროექტის წარმატებით განხორციელებაში.

პროექტი განხორციელდა 2022 წლის გაზაფხულზე. მისი ღირებულება შეადგენდა 1500 ლარს.



## შედეგები

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლა-სწავლების ერთ-ერთი მიზანია, მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები. პროექტის განხორციელებამ კი ხელი შეუწყო სიღრმისეული სწავლების პრაქტიკის დანერგვას.

მოსწავლეებმა შეძლეს საკითხის საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტში დამუშავება. ასევე გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა პროექტში ჩართული მასწავლებლების პრაქტიკა.

წახალისდა გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა სხვადასხვა საგნის, კათედრის წარმომადგენლებთან; პედაგოგებმა გაიუმჯობესეს კომპეტენციები ტექნოლოგიური კუთხით; გაიზარდა მათი ავტორიტეტი მოსწავლეებში, მშობლებში, თემში.

პროექტმა ხელი შეუწყო ორგანიზაციული კულტურის ამაღლებას; მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის პარტნიორული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. გაიზარდა სკოლის ავტორიტეტი, იგი უფრო საინტერესო და ცნობადი გახდა.

# პროექტი „მზისჭირი“

## სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გუთურის საჯარო სკოლა

## პროექტის შესახებ

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელები: **მზია სიხარულიძე, ანა შარაშენიძე**

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გუთურში სულ 1200 ადამიანი ცხოვრობს. თემში მცხოვრებთა უმრავლესობა გამოირჩევა სიახლეებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებით. მათი შესაძლო/სავარაუდო სამეწარმეო უნარ-ჩვევები გამოვლენილი არ არის. მათ აუცილებლად სჭირდებათ ხელშეწყობა, სტიმული და ისეთი ინიციატივების შეთავაზება, რომლებიც ნაკლებ ხარჯს მოითხოვს და შედეგს მოკლე დროში აჩვენებს. ამ პრობლემის გადასაჭრელად გუთურის საჯარო სკოლის „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის“ წევრებმა გადაწყვიტეს სკოლის ბაზაზე ჩირის გასაშრობი დანადგარის შექმნა, რომელიც მზის ენერგიით იმუშავებს და დაინტერესებულ ადამიანებს საშუალება მიეცემათ, შექმნან ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი ყოველგვარი ხარჯის გარეშე – სხვადასხვა ხილისგან დაამზადონ ჩირი, რაც, შესაძლოა, მომავალში მათი შემოსავლის წყაროც გახდეს.



პრობლემაა ისიც, რომ მოზარდების ნაწილი, ძირითადად, ორიენტირებულია ისეთი პროდუქტების შეძენაზე, რომლებიც ჯანმრთელობისთვის საზიანოა. ეს ყველაფერი აიხსნება იმით, რომ ისინი საბუნებისმეტყველო საგნებს არასერიოზულად ეკიდებიან (შესაბამისად, აქვთ მწირი ცოდნა). ამიტომ პროექტის მიზნად დავსახეთ, გაგვეღვივებინა მათში ინტერესი საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ (როგორიცაა ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა); გარდა ამისა, როგორც სასკოლო საზოგადოებას, ისე თემის წარმომადგენლებს შექმნოდათ გარკვეული წარმოდგენა ამ საგნების მნიშვნელობასა და სარგებლიანობაზე.



## პროექტის მიზანი

სასკოლო საზოგადოებისა და ადგილობრივი თემის წარმომადგენლების გააქტიურება, დაინტერესება და სამეწარმეო უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობა; ასევე, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის სარგებლიანობისა და აუცილებლობის შესახებ მათი ცნობიერების ამაღლება; საბუნებისმეტყველო საგნების პოპულარიზაცია და საგნობრივი კომპეტენციების დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან

## პროექტის მოკლე აღწერა



პროექტის განხორციელებაში ჩაერთნენ ქართული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკის, გეოგრაფიის, ქიმიის, ბიოლოგიის, მოქალაქეობის, მათემატიკის პედაგოგები. საგნობრივი შეხვედრების ფარგლებში დამუშავდა ინფორმაცია ჯანსაღი პროდუქტების, კვების რაციონის, მავნე მინარევების, ჯანსაღი პროდუქტის დამზადების პროცესებისა და მათთვის საჭირო დანადგარების, რესურსების დაზოგვისა და სხვა საკითხების შესახებ, რაც მოსწავლეებს დაეხმარა პროდუქციის შექმნაში და ხელი შეუწყო თემის ცნობიერების ამაღლებას.

მოზარდებმა საბუნებისმეტყველო საგნების პოპულარიზაციის მიზნით დაამუშავეს და თემში გაავრცელეს ინფორმაცია ჯანსაღი პროდუქციის სარგებლიანობაზე, როგორც კვებით ღირებულებაზე და, ასევე, ამგვარი პროდუქციის რეალიზებით მიღებულ შემოსავლის წყაროზე.

პროექტში ჩართულმა „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის“ წევრებმა მოაწყვეს ვიდეორგოლების ჩვენება. იქ დამსწრეებს დაურიგდათ საინფორმაციო ბროშურები ეკოლოგიურად სუფთა ჩირის სარგებლიანობის, მისი დამზადებისა და შენახვის ტრადიციული წესების შესახებ, ასევე ნარჩენების ეფექტიანად მართვის/გამოყენების საშუალებებზე (არყის გამოხდა, დაკომპოსტირება და ა.შ.).

მზის ენერგიაზე მომუშავე საჩირე აპარატის აწყობას კონსულტირებას უწევდა მოწვეული სპეციალისტი, რომელმაც მოზარდებს უსასყიდლოდ დაუმუშავა მასალა, ასწავლა მისი გამოყენება.

საჩირე აპარატის გამოყენებით მოზარდებმა დაამზადეს სხვადასხვა ხილის ჩირი; პროექტის დასკვნით ეტაპზე მათ გამართეს პრეზენტაცია და პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.

პროექტი განხორციელდა 2023 წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე. მისი ბიუჯეტი 1300 ლარს შეადგენდა.





## შედეგები

თემის წევრებს შესაძლებლობა აქვთ, უსასყიდლოდ გამოიყენონ პროექტის ფარგლებში შეძენილი და სკოლის ტერიტორიაზე დადგმული ჩირის გასაშრობი დანადგარი, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სამეწარმეო კომპეტენციის გაძლიერებას. მნიშვნელოვნად ამაღლდა ასევე თემის წევრების ცნობიერება პროდუქციის წარმოებისას რესურსების დაზოგვის და ენერგოეფექტური დანადგარების გამოყენების თაობაზე.

სწავლა-სწავლების პროცესი გახდა უფრო მეტად შემოქმედებითი, საინტერესო და კეთებით სწავლების პრინციპის შესაბამისი; გაიზარდა საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების პროცესში მოსწავლეების ჩართულობის ხარისხი.



პროექტი „გენდერი და პროფესიები“

სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურის საჯარო სკოლა

## პროექტის შესახებ

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი:
**თამარ მოსიაშვილი**

კურდღელაურის საჯარო სკოლაში პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიების მიმართ დამოკიდებულების შესწავლის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსწავლეების დიდ ნაწილს უჭირს პროფესიის შერჩევა. კვლევის ფარგლებში მოზარდებმა აღნიშნეს, რომ მათთვის საინტერესოა, ძირითადად, ჟურნალისტის, ოპერატორის, მკერავის, მობილური ტელეფონის ხელოსნის, ექიმის, მასწავლებლის საქმიანობა. გამოკითხულთა 90% მხოლოდ „ქალის“ პროფესიად მიიჩნევს მასწავლებლობას, ჟურნალისტობას, მკერავობას, ექთნობას და სხვ., ხოლო „კაცის“ პროფესიად – მობილური ტელეფონის შემკეთებლობას, ექიმობას, ოპერატორობას. შედეგების ანალიზისას გამოიკვეთა მოზარდთა სტერეოტიპული დამოკიდებულება პროფესიების მიმართ. აღნიშნულმა, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს სამომავლოდ მოზარდების არჩევანზე და შეზღუდოს მათი ინტერესთა სფერო. ასევე, მნიშვნელოვანია, სკოლამ ხელი შეუწყოს მათში ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ამა თუ იმ პროფესიის მიმართ, რათა სამომავლოდ, როცა მოუწევთ დამსაქმებლის ან დასაქმების მსურველის როლში ყოფნა, არ გახდნენ სხვათა უფლებების დამრღვევნი ან დისკრიმინაციის მსხვერპლნი.

მეორე მხრივ, კვლევამ ცხადყო, რომ მოსწავლეები ყველაზე საინტერესო პროფესიებად ჟურნალისტისა და ოპერატორის საქმიანობას მიიჩნევენ. ისინი გამოთქვამენ სურვილს, პრაქტიკულად გაეცნონ აღნიშნულ პროფესიებს. სოფელ კურდღელაურის საჯარო სკოლის „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის“ ფასილიტატორებმა მოსწავლეებისთვის პროფესიული ორიენტაციის სერვისის ამოქმედების მიზნით გადაწყვიტეს სატელევიზიო სტუდიის მოდელის შექმნა, სადაც მოზარდები შეძლებენ, გაიუმჯობესონ მედიაწიგნიერების, ეფექტური კომუნიკაციის და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სხვა გამჭოლი უნარ-ჩვევები.



## პროექტის მიზანი

კურდღელაურის საჯარო სკოლის მოსწავლეების პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა და პროფესიების მიმართ არსებული გენდერული სტერეოტიპების დამსხვრევა

# პროექტის მოკლე აღწერა



სკოლაში შეიქმნა მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფი, მომზადდა სამოქმედო გეგმა და სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის მოეწყო პროექტის პრეზენტაცია, რომლის ფარგლებშიც ყურადღება გამახვილდა სკოლაში პროფესიული ორიენტაციის სერვისების აუცილებლობასა და საჭიროებაზე.

მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ მოეწყო პროექტში ჩართული პირების შეხვედრა კარიერის დაგეგმვის კონსულტანტთან. შეხვედრის ფარგლებში სპეციალისტმა მოზარდებს გაუზიარა მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგია – როგორ შეძლონ მათ საკუთარი ინტერესების გამოკვეთა და პროფესიის შერჩევა. მოზარდები დარწმუნდნენ, რომ პროფესიების შერჩევისას აუცილებელია სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება, მათ შორის, დასაქმების ბაზარზე არსებული პროფესიების იდენტიფიცირება. შეხვედრაზე გამართული დისკუსიის შედეგად ჯგუფი შეთანხმდა, რომ პროფესიას გენდერული კუთვნილება არ გააჩნია.

გარდა კარიერული კონსულტირებისა, მნიშვნელოვანი იყო, მოსწავლეებს გაეგოთ დასაქმების ბაზრის ტენდენციების შესახებ, რომლებიც გამოიკვეთა 21-ე საუკუნეში. ამისათვის მოეწყო შეხვედრები ქართველ ტიკ-ტოკერებთან.

კურდღელაურის საჯარო სკოლის მასწავლებლებმა ჩაატარეს ინტეგრირებული გაკვეთილები სხვადასხვა საგნებში: ბიოლოგია – ცხოველების ანატომია და ფიზიოლოგია, ვეტერინარია; ინგლისური ენა – პროექტის თემატიკასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის შესწავლა, კონტექსტუალური მაგალითების დახმარების დახმარებით სიტყვების მარაგის შევსება; მათემატიკა – ბიუჯეტის მართვა; ქართული ენა – აკადემიური წერა; ისტ-საგნები – ვიდეომასალის მონტაჟი, პრეზენტირება

საშუალო საფეხურის 30 მოსწავლე საგანმანათლებლო ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდა პროფესიულ კოლეჯში, სადაც ისინი გაეცნენ იმ პროფესიებს, რომლებსაც მათ კოლეჯი სთავაზობს.

პროექტის მომდევნო ეტაპზე, საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის შემდეგ, მოსწავლეები შეუდგნენ ბლოგებისთვის სტატიების წერას. ასევე მომზადდა სარეკლამო ტექსტები და სიუჟეტები/ვიდეორგოლები მასპინძელი დაწესებულებების შესახებ (ვეტერინარიული კლინიკა და სხვ.), რომლებიც განთავსდა სოციალურ სივრცეში. ამ აქტივობების მიზანი იყო პროფესიების გაცნობა, უპირველეს ყოვლისა, თანატოლებისთვის.

დასკვნით ეტაპზე მოეწყო პროექტის შედეგების პრეზენტაცია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.

პროექტის განხორციელება დაიწყო 2023 წლის გაზაფხულზე და საწყის ეტაპზე მისი ღირებულება 1400 ლარს შეადგენდა.

## შედეგები

პროექტის განხორციელების შედეგად მოზარდებმა გაიფართოეს თვალსაწიერი პროფესიულ ორიენტაციასთან მიმართებით, გაეცნენ სხვადასხვა პროფესიის სამუშაო სპეციფიკას. მიღებული გამოცდილების გაანალიზების შემდეგ მათ შეძლეს საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების შეფასება.
პროექტის მიმდინარეობის პროცესში თანაბრად იყვნენ ჩართული როგორც ბიჭები, ისე გოგონები, რომლებიც აკვირდებოდნენ და განიხილავდნენ, როგორი მოთხოვნა არსებობს სხვადასხვა პროფესიის მიმართ დასაქმების ბაზარზე, ეცნობოდნენ დასაქმების შესაძლებლობებს და სხვა აქტუალურ საკითხებს, რამაც ხელი შეუწყო პროფესიების შესახებ არსებული გენდერული სტერეოტიპების მსხვრევას.

კურდღელაურის საჯარო სკოლაში გაძლიერდა პროფესიული ორიენტაციის მიმართულება, რასაც მომავალში დაეფუძნება სხვა პროექტები კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის მიმართულებით.



# პროექტი „მწვანე ეზო – ახალი სიცოცხლე“

## სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლა

## პროექტის შესახებ

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელები:
**სოფიკო ბიწაძე,**
**ოლეგი გრიგალაშვილი**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლა ეზოს სახით საკმაოდ დიდ ტერიტორიას ფლობს. სკოლის ეზო მოსწავლეებისთვის საყვარელი თავშეყრის ადგილია, სადაც ისვენებენ, ერთობიან, ასევე უტარდებათ გაკვეთილები. შესაბამისად, ეზოს კეთილმოწყობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.



აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლის ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი დაჭაობებულია. ამიტომ „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის“ მოსწავლეებმა გადაწყვიტეს ეზოს კეთილმოწყობა, დაჭაობებული ადგილების ამოშრობაზე ზრუნვა მიწის საფარის ამაღლებითა და მცენარეების დარგვით. პროექტის ფარგლებში მრავალწლიანი ნარგავების გაშენებით ისინი შეამცირებდნენ რეგიონში არსებულ ეკოლოგიურ პრობლემებს და ხელს შეუწყობდნენ გარემოს განვითარებას. ასევე, გაამრავლებდნენ ნერგებს და რეალიზებას გაუწევდნენ მათ, რაც დამატებითი ფინანსური რესურსის მოზიდვის ეფექტიანი გზაა; მიღებული შემოსავლით გააგრძელებდნენ გარემოს კეთილმოწყობას.



## პროექტის მიზანი

ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შექმნა გარემოსდაცვითი კომპეტენციის ამაღლების გზით; სკოლის მოსწავლეებში სამეწარმეო კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების გამომუშავება პრაქტიკული სამუშაოების განხორციელებით

## პროექტის მოკლე აღწერა



პროექტში ჩართული პედაგოგებისა და მოსწავლეების მიერ დაიგეგმა პროექტის სრული ციკლი და გადანაწილდა პასუხისმგებლობები; განისაზღვრა საგნობრივი ჯგუფები და ძირითადი საკვლევი საკითხები როგორც დაჭაობების აღმოსაფხვრელად, ისე სამეწარმეო უნარების გამოსავლენად. პროცესში ჩაერთნენ ფასილიტატორები, „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის“ წევრი მოსწავლეები, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები. საგანთაშორისი კავშირის დამყარებით შეიქმნა აქტივობათა ჯაჭვი.

პროექტის განხორციელების პროცესში ჩაერთო შემდეგი საგნები:
ბიოლოგია – მსოფლიოში გავრცელებული ინფექციები და მათი წარმოშობის კერები (მაგალითად, მალარია)
ხელოვნება – დიზაინი, გაფორმება

სასკოლო კონფერენციის თემები:
გეოგრაფია/ბიოლოგია – „რა როლს ასრულებენ მცენარეები გლობალური დათბობის შეჩერებაში“
ბიოლოგია – „ჯანსაღი გარემო ადამიანის ჯანმრთელობის საწინდარია“
მშობლებს მიეწოდათ ინფორმაცია პროექტის შესახებ, მოხალისეებმა გაიარეს რეგისტრაცია და ჩაერთნენ პროცესებში.

ნიადაგისა და კლიმატის თავისებურებების შესასწავლად გაიმართა საინფორმაციო და საკონსულტაციო სამუშაო შეხვედრები ადგილობრივი თემის მოსახლეობასთან, მშობლებთან და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არსებულ სანერგე მეურნეობის თანამშრომლებთან.

მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: დასუფთავდა ტერიტორია და მოსწორდა მიწის საფარი. დასუფთავების პროცესში მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა, მშობლებმა, მასწავლებლებლებმა.

ბიოლოგიის გაკვეთილებზე დამუშავებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და ადგილობრივ თემთან თანამშრომლობით შეირჩა ნერგები. განაშენიანება დაეფუძნა წინასწარ შემუშავებულ მაკეტს.

პროექტი განხორციელდა 2023 წლის გაზაფხულზე და სულ დაიხარჯა 1800 ლარი.



## შედეგები

პროექტის განხორციელების შედეგად საგანთა ინტეგრირებითა და პრაქტიკული საქმიანობის წარმართვით ამაღლდა მოსწავლეთა ცოდნის დონე გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის საკითხებზე.
სასკოლო სივრცე გახდა უფრო მეტად მოწესრიგებული და მიმზიდველი სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.
პროექტის დაგეგმვისა და მართვის პროცესში მოსწავლეებმა განივითარეს სამეწარმეო კომპეტენციები.
სკოლის პრაქტიკაში პროექტების დაგეგმვისას დაინერგა ინტეგრირებული სწავლების პრაქტიკა – საგანთაშორისი მიდგომა.
დამკვიდრდა თემის აქტიური ჩართულობით პრობლემის მოგვარების გამოცდილება.
პროექტის განხორციელების შედეგად მოსწავლეებს განუვითარდათ იდეების გენერირების, შესაძლებლობების ამოცნობის, რესურსების მობილიზებისა და მართვის, იდეების პრაქტიკულად განხორციელების უნარ-ჩვევები. მოსწავლეებს შეუძლიათ პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის გზების დასახვა და პრაქტიკულად განხორციელება.

# პროექტი „გურული კულინარია“

## „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ბაზაზე არსებული არაფორმალური განათლების ცენტრი „ლიდერთა სკოლა“



## პროექტის შესახებ

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელები:
**ნონა სადრაძე, თამარ ონიანი**

სამწუხარო რეალობაა, რომ გურიაში მცხოვრებმა მოზარდებმა ცოტა რამ იციან საკუთარ რეგიონზე, მის ისტორიასა და კულტურაზე. სახელმწიფო დონეზედაც კი, სულ რამდენიმე წელია, რაც დაიწყო გურიის ღირსშესანიშნაობების შესახებ ფართო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება და ტურისტების მოზიდვაზე ზრუნვა. ტრადიციული გურული კერძები მივიწყებულია და ადგილობრივი მეწარმეებიც კი არ ცდილობენ მათ პოპულარიზაციას. მთავარი პრობლემა ისევ და ისევ ინფორმაციის ნაკლებობაა, რაც უშუალოდ უკავშირდება ამ საკითხის შესახებ ცნობიერების დაბალ დონეს – დროთა განმავლობაში ინფორმაცია გურული კერძების შესახებ იკარგება და სულ უფრო ცოტა ადამიანია შემორჩენილი, რომლებმაც იციან ტრადიციული გურული რეცეპტები. ასევე, გავრცელებულია მცდარი შეხედულება, თითქოს გურული სამზარეულო ერთფეროვანია, და ამიტომაც მას ნაკლებად იცნობს საზოგადოება. სინამდვილეში მისი ისტორია ძალიან მნიშვნელოვანი, საინტერესო და ღირებულია.

ტრადიციების შენარჩუნებასა და მათ აღდგენაზე ზრუნვას მხოლოდ მაღალი სამოქალაქო კომპეტენციის მქონე საზოგადოება ახერხებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სასკოლო განათლების მიღების პარალელურად მიმდინარეობდეს მოზარდის ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბება. ამისთვის აუცილებელია, მოსწავლეებს მიეცეთ საკუთარი ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნული პროცესი იშვიათია ჩვენს საჯარო სკოლებში. ხშირ შემთხვევაში, მოზარდებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, განახორციელონ საკუთარი იდეები. არიან მეწარმეობით დაინტერესებული მოსწავლეები, მაგრამ მათ არ აქვთ საკმარისი რესურსი, გამოცდილება და ინფორმაცია საკითხთან მიმართებით. აკადემიური სასკოლო საგნების სწავლებისას თითქმის არ არის გათვალისწინებული, მოსწავლეებმა დამოუკიდებლად აკეთონ საქმე. არადა, სამეწარმეო უნარები უაღრესად მნიშვნელოვანია პრობლემის იდენტიფიცირებისა და ანალიზის პროცესში. ამავე დროს, სამეწარმეო განათლების პროცესი ძალიან საინტერესოა, თან ახლავს კვლევა, ახალი ინფორმაციის გაზიარება/გაცნობა, საბაზისო უნარ-ჩვევების განვითარება და გაძლიერება, რაც მოზარდებს აძლევს საშუალებას, პოპულარიზაცია გაუწიონ თემას, რომელიც აინტერესებთ; იპოვონ საქმე, რომელსაც მომავალში ხელს მოჰკიდებენ.



## პროექტის მიზანი

ახალგაზრდების მიერ გურული კულინარიის სამეწარმეო პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა აკადემიური სასწავლო დისციპლინების გამოყენებით

## პროექტის მოკლე აღწერა



პროექტის საწყის ეტაპზე განისაზღვრა მიმართულებები, რომელთა ფარგლებშიც დამუშავდებოდა მოპოვებული მასალა. შემდეგ ეტაპზე შეირჩა მენტორები, რომლებმაც უხელმძღვანელეს საგნობრივ ჯგუფებს.

პროექტის ფარგლებში სხვადასხვა აკადემიური სასწავლო საგნის ჭრილში კომპლექსურად გაანალიზდა შემდეგი საკითხები:

ისტორია, ქართული ენა და ლიტერატურა – გურული კულინარიის შესახებ კვლევა-ძიება საარქივო მასალებში *(რას ვხვდებით ეთნოგრაფიულ ტექსტებში გურული სამზარეულოს შესახებ? რას წერდა პრესა გურული სამზარეულოს შესახებ? რომელ გაზეთებსა თუ პუბლიკაციებში ვხვდებით ინფორმაციას გურული კულინარიის შესახებ? როგორი იყო საზოგადოების გამოხმაურება და დამოკიდებულება გურული კულინარიის მიმართ?)*

ისტორია (არქეოლოგია), ქიმია, ფიზიკა, ლიტერატურა – ტრადიციულ გურულ ჭურჭელზე ინფორმაციის კვლევა-ძიება ისტორიულ-არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით *(რომელი კერძი რომელ ჭურჭელში მზადდებოდა? როგორი იყო სერვირება? რაში ინახებოდა პროდუქტები? რა მასალისგან მზადდებოდა ჭურჭელი?)*

ისტორია – შეხვედრებისა და ფოკუს-ჯგუფების ჩატარება გურიის სოფლებში მცხოვრებ ხანდაზმულ ადამიანებთან გურული კერძების ტრადიციული რეცეპტების გაცნობისა და შეგროვების მიზნით *(რომელი კერძები იყო დამახასიათებელი გურული სამზარეულოსთვის? რომელი ტრადიციული კერძები მზადდებოდა სხვადასხვა დღესასწაულზე?)*

ისტორია – გურულ კულინარიაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამზარეულოსა თუ კულტურების გავლენის კვლევა *(როგორ აისახა გურულ სამზარეულოში გურიაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ტრადიციები და კერძები? რომელი კერძებია ისტორიულად გურული და რომელი კერძები გავრცელდა საქართველოს სხვა კუთხეებიდან? რა გავლენა იქონია საბჭოთა პერიოდმა გურულ სამზარეულოზე?)*

ქიმია, ისტორია, გეოგრაფია – გურიაში არსებული კლიმატისა და მიწის პოტენციალის კვლევა-ანალიზი *(რა კულტურები შეიძლება დაირგოს? რა იყო გურული ტრადიციული კულტურა? შეიცვალა თუ არა წლების განმავლობაში? რამ განაპირობა ეს ცვლილებები? რა გავლენა აქვს კლიმატის ცვლილებას ენდემურ ჯიშებზე?)*

ქიმია, გეოგრაფია, ბიოლოგია – გურული სამზარეულოს გავლენის შესწავლა ადამიანის ჯანმრთელობასა და ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე *(რამდენად ჯანსაღია გურული სამზარეულოს კერძები? რა სახის ჯანმრთელობის პრობლემები შეიძლება გამოიწვიოს იმ პროდუქტებმა, რომლებსაც აქტიურად იყენებენ გურულ კერძებში? არის თუ არა გურიაში მოყვანილი პროდუქტი ბიოლოგიურად სუფთა და რამდენად უსაფრთხოა მისი მოხმარება ჯანმრთელობისთვის?)*

ქიმია, ისტორია, მოქალაქეობა – გურიაში არსებული საწარმოების შესწავლა სოციალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით *(რამდენად ზრუნავენ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის მოყვანაზე ადგილობრივი მეწარმეები? ითვალისწინებენ თუ არა ისინი მხარის კულტურულ თავისებურებებსა და თვითმყოფადობას? ინარჩუნებენ თუ არა ენდემურ ჯიშებს?)*

ისტორია – ინფორმაციის მოძიება იმის შესახებ, თუ რომელ ტრადიციულ გურულ კერძებს სთავაზობენ ტურისტებს ადგილობრივი მეწარმეები

ხელოვნება – ტრადიციული და მოდერნიზებული გურული კერძების მენიუს შექმნა და მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება *(მოძიებული რეცეპტების საფუძველზე მოხდეს გურული ტრადიცული კერძების მოდერნიზება)*

პროექტში ჩართული „ლიდერთა სკოლის“ მოსწავლეების მიერ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების შესწავლის შედეგად სიღრმისეულად გაანალიზდა გურული ტრადიციული კულინარიის მახასიათებლები. ყურადღება გამახვილდა როგორც ტრადიციულ გურულ კერძებზე, ისე მათი მომზადების სპეციფიკასა და ჭურჭელზე, ასევე გურული კლიმატისა და ნიადაგის თავისებურებებზე, კულტურათა შერწყმასა და ასიმილაციაზე.

პროექტის ფარგლებში მოეწყო გასვლითი ტურები და ექსკურსიები, რომელთა ფარგლებშიც ბავშვებმა მიიღეს ინფორმაცია ადგილობრივი მეწარმეების საქმიანობასთან დაკავშირებით, ასევე მოიძიეს რეცეპტები.

მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა საკონფერენციო თემები, რომელთა დამუშავების პროცესში ჩართული იყვნენ შერჩეული მენტორები.

პროექტში მონაწილე მოზარდების მიერ მოძიებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად შეიქმნა ტრადიციული და მოდერნიზებული გურული კერძების მენიუ. მისი პრეზენტაცია მოეწყო პროექტის დასკვნით ეტაპზე გამართულ კონფერენციაზე.

პროექტი განხორციელდა 2023 წლის გაზაფხულზე და სულ დაიხარჯა 900 ლარი.



## შედეგები

პროექტში ჩართულ მოზარდებს განუვითარდათ სამეწარმეო უნარ-ჩვევები აკადემიური სასკოლო საგნების მეშვეობით გურული კულინარიის პოპულარიზაციის, კვლევის, მოდერნიზებისა და გაყიდვის პრაქტიკის საფუძველზე.

# სარჩევი

**პროექტი „მეწარმეობის უნარების განვითარება საგანთა ინტეგრაციის გზით“**
(სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარეთის საჯარო სკოლა)........................ 4
**პროექტი „დაფნა – კეთილდღეობის წყარო“**
(სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეთის საჯარო სკოლა)........... 6
**პროექტი „ლიმონი – საოთახე კულტურა“**
(სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთის საჯარო სკოლა)............ 8
**პროექტი „ყვავილების სათბური“**
(სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის N2 საჯარო სკოლა)........ 10
**პროექტი „შევუქმნათ ჩვენს ოთხფეხა მეგობრებს ტანსაცმელი და აქსესუარები“**
(სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურის საჯარო სკოლა)......... 12
**პროექტი „ინოვაციური გაკვეთილები ღია ცის ქვეშ“**
(სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ თამარიანის საჯარო სკოლა)............ 14
**პროექტი „ჩვენი ბაღი ბაღნარია“**
(სსიპ ქალაქ დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლა)............................................. 16
**პროექტი „თავისუფალი მწვანე ზონა“**
(სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდის საჯარო სკოლა)................ 18
**პროექტი „ტრადიცია და მეწარმეობა“**
(სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბათის საჯარო სკოლა)...................... 20
**პროექტი „მაკეტოლოგიიდან მარკეტოლოგიამდე“**
(სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანის საჯარო სკოლა).................. 22
**პროექტი „შრომის გუდა“**
(სსიპ ნიკო მარის სახელობის დაბა ჩოხატაურის N1 საჯარო სკოლა)...................... 24
**პროექტი „ყველი საქართველოს თეთრი სიმდიდრეა“**
(სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნარუჯის საჯარო სკოლა)..................... 26
**პროექტი „სუფთა წყალი – ჯანმრთელი თაობა“**
(სსიპ ქალაქ ბოლნისის მე-5 საჯარო სკოლა)........................................................ 28
**პროექტი „არაფორმალური განათლების სივრცე – სკოლის კინოკლუბი“**
(სსიპ ქალაქ რუსთავის 21-ე საჯარო სკოლა)........................................................ 30
**პროექტი გადაუდებელი მდგომარეობის სამაჯური /Emergency Bracelet**
(სსიპ ქალაქ რუსთავის 21-ე საჯარო სკოლა)........................................................ 32
**პროექტი „სამოყვარულო ვენახიდან სამეწარმეო ვენახისკენ“**
სსიპ აკაკი სურგულაძის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლა..................................................................... 34
**პროექტი „მზისჩირი“**
სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გუთურის საჯარო სკოლა ................ 36
**პროექტი „გენდერი და პროფესიები“**
სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურის საჯარო სკოლა ........... 38
**პროექტი „მწვანე ეზო – ახალი სიცოცხლე“**
(სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლა).......... 40
**პროექტი „გურული კულინარია“**
(„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ბაზაზე არსებული
არაფორმალური განათლების ცენტრი „ლიდერთა სკოლა“) .................................... 42

**ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი**

ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. N3
T: 27 6434
თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. II ჩიხი N5
T: 555689896

E-mail: ypuozurgeti@yahoo.com
www.apk.ge
www.facebook.com/apk.ge